ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge



გვ.5

### ქუთაისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს ციხე ემუქრებათ

### თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს

დაკავებულია 7 პირი



გვ.5

სამშაბათი, 26 აპრილი, 2022 №80 (8858) ფასი: 80 თეთრი

# „გახარია პრემიერის პორტფელს კიდევ მოითხოვს“



გვ.2

## ვახტანგ ძაბირაძე: „ნაციონალური მოძრაობა ათი წელია, ერთ წრეზე ტრიალებს“



## დავით არახამია: „მივმართავ ევროკავშირსა და აშშ-ს, განიხილონ ივანიშვილისთვის პერსონალური სანქციების დაწესება“



გვ.3

## ნიკა მელია: „პარლამენტიდან გამოსვლა გამოსავალი არ არის“



გვ.2

## „პუტინი ილუზიებშია, სამედიცინო დაკვირვება ესაჭიროება“



გვ.4

ვახტანგ მაისაია: „ამერიკასა და რუსეთს საკმარისზე მეტი შეიარაღება გააჩნიათ და ორივეს შეუძლია, ერთმანეთი გაანადგურონ“



გვ.3

## პატრიარქი: „ომში, რომელსაც რუსეთი უკრაინაში აწარმოებს, შემზარავ ფაქტებს აქვს ადგილი“

## ირაკლი ქადაგიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა ბოლშევიკურ მეთოდებს მიმართავს“



გვ.2



გვ.3

## რა ამოცანა ჰქონდა პუტინს საქართველოში 2008 წელს?

მიხეილ ხოდორკოვსკი: „კრემლს დიდი მობილიზაციის ეშინია“

3 პეტრე ცისკარიშვილი: „აუცილებელია, ხიდაშელისა და ივანიშვილის მიმართ სანქციები დაწესდეს“

5 დეტექტივი ერიკ წურწუმია: „ამ ცოდვით უნდა ვიცხოვრო“

5 ორსული ქეთა კეპულაძის მკვლელი ქმარი, გოგა გზირიშვილი, შეზღუდულად შერაცხადია

6 ენტონი ბლინკენი: „კიევისთვის ბრძოლა მოგებულია“

# „გახარია პრემიერის პორტფელს კიდევ მოითხოვს“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ნაციონალური მოძრაობა ათი წელია, ერთ წრეზე ტრიალებს“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**



***— ბატონო ვახტანგ, ნაციონალური მოძრაობა ვადამდელ არჩევნებზე აკეთებს აქცენტს, თუმცა უცნობია, როგორ აპირებენ ამის მიღწევას. რამდენად რეალურია რიგგარეშე არჩევნები?***

— ნაციონალურ მოძრაობასა და მიხეილ სააკაშვილს უნდათ რიგგარეშე არჩევნები, მაგრამ, რამდენად შესაძლებელი და რეალურია ეს სურვილი, ამაზე არაფერს ამბობენ. მოვისმინეთ განმარტებები, რომ სააკაშვილი ცუდად გახდა და ამიტომ ვერ ისაუბრა გეგმაზე. ეს ყველაფერი არასერიოზულს ხდის მთლიანად ამ პროცესს და საერთოდ ოპოზიციურ ფლანგსაც. სანამ სააკაშვილი საქართველოში ჩამოვიდოდა, თითქოს უფრო ჩანდა, რომ ხიფათს წარმოადგენდა ხელისუფლებისთვის, მაგრამ, დღეს როდესაც უყურებ, საცოდავი სანახავი უფროა, ვიდრე ხიფათის მომტანი.

გაუგებარია, რა გეგმა უნდა წარმოადგინოს სააკაშვილმა ან მთლიანად პარტიამ, რომ არსებული პოლიტიკური მოცემულობა შეიცვალოს ქვეყანაში. დღეს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის არანაირი ნიშანწყალი არ არსებობს. ხომ ვიცით, რა დროს ინიშნება ასეთი არჩევნები! ან უნდა იყოს სახელისუფლებო, ან ღრმა პოლიტიკური კრიზისი. ქუჩებში უნდა იყვნენ გამოსული ადამიანები და მთელი ქვეყანა პროტესტით უნდა იყოს მოცული. გვაქვს ეს რეალობა?! როგორც ვხედავთ, მსგავსი არაფერი ხდება.

***— სააკაშვილი 200 ათასი ადამიანის გამოყვანაზე საუბრობს.***

— ეს ზღაპარია. საიდან? როგორ? სიმართლე გითხრათ, ასეთი მიძინებული, ჩუმი პოლიტიკური გაზაფხული დიდი ხანია, საქართველოში არ მახსოვს. ოპოზიცია ყოველთვის გაზაფხულზე იწყებდა აქციებს იმ იმედით, რომ რაღაცას შეცვლიდა. დღეს ეს განწყობაც არსად იგრძნობა. სხვა ახალი რა უნდა მოიფიქროს სააკაშვილმა, გაუგებარია. ათი წელია, ნაციონალური მოძრაობა ერთსა და იმავე წრეზე ტრიალებს და ეს ძალიან არასერიოზულია.

***— უკვე მივეჩვიეთ — ასეთი გამოხმაურებები იყო „ქართული ოცნებიდან“. თუმცა მესამე პრეზიდენტი ცუდად გრძნობს თავს. შეიძლება, ეს სერიოზული პრობლემა გახდეს ხელისუფლებისთვის?***

— გააჩნია, რა სირთულის არის სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. როგორც ჩანს, წინა პლანზე კვლავ მისი ჯანმრთელობა წამოიწევს და არა საპროტესტო აქციები. ვფიქრობ, მოვლენები ამ მიმართულებით უფრო განვითარდება.

***— ბატონო ვახტანგ, თქვენ რით ხსნით ადამიანების ინდიფერენტულობას? მათ არსებული ოპოზიცია არ მოსწონთ თუ რეალობას ეგუებიან?***

— ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. დიახ, აშკარაა, რომ მოქალაქეები კმაყოფილი არ არიან, მაგრამ, მე მაინც ვფიქრობ, ოპოზიციის მიმართ დიდი უნდობლობაა. ნაციონალური მოძრაობის მიმართ რომ უნდობლობაა, გასაგებია, მაგრამ მთლიანად ოპოზიციური სპექტრი, თავისი შეცდომებიდან გამომდინარე, ვერა და ვერ იმსახურებს ხალხის ნდობას. მეტ-ნაკლებად მისაღები ძალა რომ გამოჩნდეს, „ქართული ოცნება“ არჩევნებს წააგებს და ოპოზიციაში გადავა. თუმცა დღემდე არ გამოჩენილა ასეთი პოლიტიკური არც ცენტრი და არც პარტია. ვნახოთ, 2024 წლამდე დიდი დროა და შეიძლება, რაიმე სიახლე იყოს ამ მიმართულებით.

> **„წვრილ-წვრილმა პარტიებმა უნდა შექმნან მესამე ცენტრი და ისე მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2024 წლის არჩევნებშიც „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს“**

***— ახალი პარტიები თუ უკვე არსებული პარტიების გაერთიანება წინასაარჩევნო ბლოკებად?***

— ახალი გამოჩნდება თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს. რაც შეეხება დანარჩენებს, მათ უნდა შეძლონ გაერთიანება, მაგრამ არა — ნაციონალური მოძრაობის გარშემო. წვრილ-წვრილმა პარტიებმა უნდა შექმნან მესამე ცენტრი და ისე მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, 2024 წლის არჩევნებშიც „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს.

მე ვფიქრობ, ახლა „ქართული ოცნებისთვის“ საპროტესტო აქციებზე უფრო დიდი პრობლემა საარჩევნო ბარიერის საკითხია, რა ქნას, დასწიოს ბარიერი თუ დატოვოს 5%? 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით უნდა ჩატარდეს, მაგრამ, როგორი იქნება ბარიერი, გაურკვეველია.

***— ფიქრობთ, „ოცნებას“ მაღალი ბარიერი არ აწყობს?***

— დიახ, შეიძლება, არ აწყობდეს. ბევრი რამ პოლიტიკური სპექტრის დალაგებაზეც იქნება დამოკიდებული. რამდენი ბლოკი იქნება ოპოზიციურ ფლანგზე, რას იზამს ნაციონალური მოძრაობა — ეს სურათს გამოკვეთს. ამიტომ „ქართული ოცნება“ ამ საკითხის გადაჭრას არ იჩქარებს, ყველაფერს კარგად აწონდაწონის და გადაწყვეტილებას ისე მიიღებს.

ბოლო არჩევნებზე საინტერესო შედეგი დადო გიორგი გახარიამ. ახლა რა მდგომარეობაშია მისი პარტია, ესეც მნიშვნელოვანი იქნება.

***— პროპორციულ არჩევნებში რამდენად აქვს „ოცნებას“ ერთპარტიული მმართველობის შანსი?***

— რა თქმა უნდა, ეს შანსი იკლებს, მაგრამ, ცხადია, რომ ეცდება, კვლავ ერთპიროვნულად მართოს. თუ „ოცნება“, გახარია და კვლავ ნაციონალები გავლენ, მაშინ გახარია, ალბათ, პრემიერის პორტფელს მოითხოვს. ვნახოთ, როგორ დალაგდება საარჩევნოდ პოლიტიკური მოზაიკა.

# ნიკა მელია: „პარლამენტიდან გამოსვლა გამოსავალი არ არის“

— დღის წესრიგში დგას ეს საკითხი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ერთობით.

ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა ნიკა მელიამ ფეისბუქ ლაივის დროს ნაციონალური მოძრაობის მიერ პარლამენტის დატოვების შესახებ დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

ნიკა მელიას თქმით, პარლამენტის დატოვება ან თავისუფლების მოედანზე გამოსვლა ვერ იქნება სტრატეგია, ეს ყველაფერი სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს.

— დავინახავთ, რომ პოლიტიკური პროცესის დრამატულად გაცოცხლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მთელი წარმომადგენლობა ოპოზიციის გამოვიდეს პარლამენტიდან?

მე გარწმუნებთ, არ არსებობს ერთი პარლამენტარიც კი (დავიტოვებ იმედს), რომელიც იქ დარჩება. ხომ გაინტერესებთ სიმართლე? თავისთავად პარლამენტიდან გამოსვლა ვერ იქნება სტრატეგია, შეიძლება სტრატეგიის ნაწილი იყოს, როგორც თავისუფლების მოედანზე შეკრება ვერ იქნება სტრატეგია, ან კარვის დადგმა. ეს ყველაფერი სტრატეგიის ნაწილი და პუნქტები უნდა იყოს.

რომ გამოვიდეს ნაციონალური მოძრაობა პარლამენტიდან, მაგრამ სხვა ოპოზიციური პარტიები იქ დარჩნენ, დაერქმევა ამ პარლამენტს ერთპარტიული პარლამენტი? ძალიან დიდ პატივს ვცემ ზურა ჯაფარიძეს, იმაზე მეტს, ვიდრე ჰგონია, მაგრამ, მე როდესაც ციხეში ვიჯექი, ჩემთვის მიუღებელი იყო 49%-იანი ბარიერი და პარლამენტში შესვლაც, თანაც პლუს მთავაზობდნენ, რომ ამნისტიის მიღება მომხდარიყო იმ მახინჯი ფორმით, როგორც უნდოდათ და ხელი მომეწერა ჩემთვის მიუღებელი, ღირსების შემლახავი დოკუმენტისთვის, მაგრამ მიიღო ზურა ჯაფარიძემ გადაწყვეტილება მაშინ, როდესაც მე ციხეში ვიჯექი, რომ პარლამენტში შესულიყვნენ, მაგრამ ამას ჩემი დამოკიდებულება ზურა ჯაფარიძისადმი არ შეუცვლია.



ახლა, როდესაც ზურა ჯაფარიძეს ვუსმენ და ამბობს, რომ პარლამენტიდან უნდა გამოვიდეს ნაციონალური მოძრაობა, უბრალოდ, არ არის სამართლიანი. კი ბატონო, ვითვალისწინებთ, დღის წესრიგში დგას ეს საკითხი, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ერთობით, — განაცხადა ნიკა მელიამ.

ნიკა მელიას განცხადებით, როდესაც ის ციხიდან გამოვიდა, კოლეგები უკვე პარლამენტში შესული დახვდნენ და ეს ფაქტი მისთვის ემოციურად მძიმე გადასატანი იყო.

— ეს საკითხი ჩემთვის არის ემოციურად ძალიან მტკივნეული. ჩემთვის სასიამოვნო და სასურველ მოგონებებს არ აღძრავს. მე ციხეში იმიტომ არ შევსულვარ, რომ ნებისმიერ ფასად გამოსვლა მომხდარიყო, სამწუხაროდ, რომ გამოვედი, პატივისცემა ჩემს კოლეგებს, მაგრამ ოპოზიცია პარლამენტში შესული უკვე დამხვდა. თუკი რამე იყო ჩემთვის მძიმედ გადასატანი, იყო ის ფაქტი, რომ ბოიკოტი შეწყდა.

მაშინ, როდესაც პროცესები არ განვითარდებოდა ისე, როგორც განვითარდა, რომ არა ჩვენი თავდადება. გამოვედი, პარტიები პარლამენტში არიან შესულები და არის თავდასხმა საზოგადოების, მათ შორის ჩვენი მხარდამჭერების მხრიდან, რომ რას აკეთებთ?

ახლა გარეთ ყოფნას რაღა აზრი აქვს? შედით და ვართ ახლა იქ, სადაც ვართ. მაგრამ პარლამენტში ყოფნა არ გამორიცხავს პოლიტიკურ ბრძოლას სხვადასხვა პლატფორმაზე.

მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ მე გამოვსულიყავი, ჩემი მთელი ცხოვრების აქტიური ნაწილი დამეთმო პარტიული ღონისძიებებისა და აქტივობებისთვის და ჩვენი წარმომადგენლობა ყოფილიყო პარლამენტში, — განაცხადა ნიკა მელიამ.

მისივე თქმით, პარლამენტიდან გამოსვლა პანაცეა არ არის.

— პარლამენტიდან გამოსვლას როდესაც ადამიანი პანაცეად ისახავს, უბრალოდ, არ მჯერა, რომმხოლოდ პარლამენტიდან გამოსვლა შეიძლება გახდეს პანაცეა და დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს მიხეილ სააკაშვილი.

ამით ისტორიულ უსამართლობას დავასრულებთ და ივანიშვილის რეჟიმიც ამოიშანთება. ამას როგორც კი დავინახავთ, მერწმუნეთ, ერთი საათი არ არის იქ არავინ გამჩერებელი, — განაცხადა მელიამ.

# ირაკლი ქადაგიშვილი: „ნაციონალური მოძრაობა ბოლშევიკურ მეთოდებს მიმართავს“

— პარტია ნაციონალურ მოძრაობას არც პოლიტიკური, არც ინტელექტუალური და არც მორალური რესურსი არ დარჩა, იყოს დემოკრატიული ოპოზიცია. გამომდინარე აქედან, ბოლშევიკურ მეთოდებს მიმართავენ.



ასე ხსნის „ქართული ოცნების“ დეპუტატი ირაკლი ქადაგიშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრ ნუგზარ წიკლაურის განცხადებას პარლამენტიდან შესაძლო გასვლის შესახებ.

ქადაგიშვილის თქმით, „მათი ქმედებების მარგი ქმედების კოეფიციენტი ნულია“.

— ბოლო რამდენიმე წელია, ნაციონალური მოძრაობა, როგორც პარტია, კონსტიტუციას, დემოკრატიას აცდენილია. მათი ქმედება თავიდან ბოლომდე დამყარებულია პროვოკაციაზე — მიხეილ სააკაშვილის საქართველოში კონტრაბანდული გზით შემოპარვით დაწყებული, დასრულებული იმით, რაც 2020 წლის არჩევნების შემდეგ მოაწყვეს, რასაც ახლა აყენებენ და რასაც ქართულ-უკრაინულ ურთიერთობებში ღვარძლს, ბოროტებასა და ტყუილს თესავენ, — აღნიშნა ირაკლი ქადაგიშვილმა.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელმა ნუგზარ წიკლაურმა არ გამორიცხა, რომ პარტიამ პირველ ეტაპზე პარლამენტს ბოიკოტი გამოუცხადოს, შემდეგ კი საერთოდ დატოვოს.

როგორც წიკლაურმა „პალიტრანიუსის“ გადაცემა „თავისუფალ სტუდიაში“ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებული საკითხების ფონზე ახლა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროა. შესაბამისად, წიკლაური დარწმუნებულია, რომ ნაციონალურ მოძრაობაში გაიმართება დისკუსია: „რას გვაძლევს პარლამენტში ყოფნა“.

# ოკუპირებულ ცხინვალში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის თარიღი გააუქმეს

ოკუპირებული ცხინვალის დე ფაქტო უზენაესმა სასამართლომ 28 აპრილს დაგეგმილი ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის თარიღი გააუქმა.

20 აპრილს სამმა მოქალაქემ დე ფაქტო უზენაეს სასამართლოს სარჩელით მიმართა და ცესკოს მიერ ე.წ. არჩევნების მეორე ტურის 28 აპრილს დანიშვნა გააპროტესტა.

ე.წ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ცენტრალური საარჩევნო კომისია ვალდებულია, არჩევნების მეორე ტური კვირას დანიშნოს. თავის მხრივ, ოკუპირებული რეგიონის ცესკო მოითხოვს განმარტებას სასამართლოსგან, თუ რა კრიტერიუმებითა და სამართლებრივი აქტებით ავალდებულებს სასამართლოს ცესკო ამ გადაწყვეტილების მიღებას.

10 აპრილს ოკუპირებულ ცხინვალში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტური ჩატარდა. ე.წ. არჩევნების მეორე ტურში ერთმანეთს ამჟამინდელი მარიონეტი ლიდერი ანატოლი ბიბილოვი და პარტია „ნიხასის“ ხელმძღვანელი ალან გაგლოევი უნდა დაუპირისპირდნენ.

არჩევნების შემდეგ მარიონეტი ლიდერი ანატოლი ბიბილოვი ოკუპირებული ცხინვალის რუსეთთან შეერთების საკითხთან დაკავშირებით ე.წ. რეფერენდუმის ჩატარებას აპირებდა.

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რა ამოცანა ჰქონდა პუტინს საქართველოში 2008 წელს?

## მიხეილ ხოდორკოვსკი: „კრემლს დიდი მობილიზაციის ეშინია“

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთი აგრძელებს სასტიკ და სისხლისმღვრელ ომს უკრაინაში. ევროკავშირი აშშ-სთან შეთანხმებით ამზადებს ანტირუსული სანქციების მეექვსე პაკეტს. რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა სასტიკ ომს უკრაინაში ჯერ-ჯერობით მშვიდად ხვდება. ამ და სხვა საკითხებზე ლიტვურ მედიასთან საუბრობს პუტინის ძველი მოწინააღმდეგე, ბიზნესმენი და პოლიტიკური მოღვაწე, ამჟამად ლონდონში მცხოვრები მიხეილ ხოდორკოვსკი. გთავაზობთ მისი ინტერვიუს ნაწილს. მიხეილ ხოდორკოვსკი მიიჩნევს, რომ პროპაგანდაში ჩაფლული რუსეთის მოსახლეობა ფსიქოზის მდგომარეობაშია.

***– შეუძლია თუ არა ვინმეს რუსეთის მოსახლეობის ფსიქოზიდან გამოყვანა?***

– ყველაფრის მიუხედავად, ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის მოსახლეობასთან მუშაობა. არავის ესმის, მათ შორის, კრემლშიც ვერ გაუგიათ, რომ ეს ფსიქოზი, ეს ისტერიკული მდგომარეობა ერთ წამში შეიძლება გატყდეს. რუსეთის იმპერიაში ერთი საუკუნის წინ იყო სიტუაცია, როცა რამდენიმეთვიანი სამხედრო ფსიქოზი დაიმსხვრა და დაანგრია თვითმპყრობელობა, რომელიც ყველას ურყევი ეგონა. ძალიან მნიშვნელოვანია მუშაობა რუსეთის მოსახლეობასთან, იმიტომ რომ დღეს, მაგალითად, კრემლს ეშინია ჩაატაროს დიდი მობილიზაცია. კრემლი ამ მობილიზაციას უფრთხის, იმიტომ რომ ხალხის შეიარაღების შედეგი მისთვის შესაძლოა ძალიან მოულოდნელი და უცნაური აღმოჩნდეს. პროპაგანდის მანქანის დამარცხება შესაძლებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამას დრო უნდა. თავის დროზე გერმანიაში გერმანული პროპაგანდა მარტო ომის დამთავრებამდე კი არ გრძელდებოდა, არამედ, სრული დენაციფიკაცია დასრულდა 1960-იანი წლების ბოლოს. ვშიშობ, რომ ჩემს ქვეყანასაც იმავეს გადატანა მოუწევს.

***– ვინ უნდა იმუშაოს მოსახლეობასთან?***

– პირველ რიგში, ამას ჩვენ ვაკეთებთ – რუსეთის ის წარმომადგენლები, რომლებსაც გვესმის სიტუაცია და რომლებსაც შეგვიძლია, რუსეთის საზოგადოებამდე მივიტანოთ ჩვენი თვალსაზრისი, რომელიც სახელმწიფო პროპაგანდის ალტერნატივაა. ამას აკეთებენ ასევე პატივსაცემი და გავლენიანი ადამიანები დასავლეთში. ამ ადამიანებს რუსეთში იცნობენ და პატივს სცემენ. მაგალითად, არნოლდ შვარცენეგერი გამოვიდა გამგმირავი და ძლიერი მიმართვით რუსეთის მოსახლეობისადმი. ამ ადამიანებს შორის არიან ცნობილი უკრაინელი მსახიობები და მომღერლები. მათ უსმენენ. რასაკვირველია, არსებობს ობიექტური მდგომარეობაც. ეს არის დარტყმა მაცივრებზე სანქციების მეშვეობით. შეუძლებელია, ადამიანებმა ვერ შეამჩნიონ, რა მოსდის მათ მაცივრებს. ადამიანებზე აგრეთვე მოქმედებს სამხედრო მოსამსახურეების დაღუპვა, ასევე – დარტყმები რუსეთის ტერიტორიაზე. სწორია, რასაც ამ მხრივ უკრაინელები აკეთებენ ისინი არ აჰყვნენ თავიანთ სიძულვილს და ურტყამენ არა რუსეთის ქალაქებს, არამედ სამხედრო ტექნიკასა და საწვავ-საპოხის საწყობებს.

***– მაგრამ კრემლის პროპაგანდა ხომ გააგრძელებს თავისი მოქმედებებისთვის საფუძვლების ძებნას, ხალხი კი, ალბათ, ამას შეიწოვს.***



– ხალხის ნაწილი, უეჭველია, ამას დაექვემდებარება, მაგრამ მოსახლეობის დაახლოებით 70% ის ადამიანები არიან, რომლებსაც აქვთ უნარი, რეალურად და გონივრულად შეაფასონ რეალობა. მათ, უბრალოდ, დახმარება ესაჭიროებათ. ეს ისაა, რასაც ვაკეთებთ.

***– რისთვის სჭირდება პუტინს ომი?***

– აქ, ალბათ, ფსიქიატრებს უნდა მივმართოთ, იმიტომ რომ ეს, რასაკვირველია, არსებით ნაწილში არის ვლადიმერ პუტინის რაღაც ფსიქიატრული ფობიების გამოვლინება. თუ პრაგმატულად ვიმსჯელებთ, შევამჩნევთ, რომ ეს არის მეოთხე შემთხვევა პუტინის საპრეზიდენტო კარიერაში, როცა ის თავის ელექტორალურ პრობლემებს ომის დაწყების ხარჯზე წყვეტს. პირველად ეს მოხდა 1999 წელს. ის მიდიოდა პრეზიდენტის პოსტზე და სჭირდებოდა ელექტორალური მხარდაჭერა. მაშინ მოსკოვში განხორციელდა ტერორისტული აქტები, რომელთა წარმოშობა საკამათოა. ამ ტერაქტებისას დაიღუპა ასობით მოსკოველი. ამის შემდეგ პუტინმა საზოგადოების მხარდაჭერით გააჩაღა ომი ჩეჩნეთში, რომლის შედეგადაც ჩეჩნეთის ხელისუფლებაში მოვიდა ბატონი კადიროვი. შემდეგ ეს მოხდა 2008 წელს, როცა პუტინმა პრეზიდენტის პოსტი დროებით დაუთმო ბატონ მედვედევს. გასაგები გახდა, რომ მედვედევს შეეძლო ლიბერალიზაციის დაწყება. თუ ლიბერალიზაციას გასაქანი მიეცემოდა, მაშინ საეჭვო გახდებოდა პუტინის პრეზიდენტად დაბრუნება. იმისთვის, რომ ეს დღის წესრიგი დაენგრია, პუტინმა გააჩაღა ომი საქართველოში. მაშინდელი დღის წესრიგის დამსხვრევა მოხერხდა. მესამედ ეს მოხდა 2014 წელს. პუტინის დაბრუნებამ თავის პოსტზე გამოიწვია პროტესტი რუსეთის მოსახლეობაში, მათ შორის, ახალგაზრდებში. ახალგაზრდობას პუტინის დაბრუნებით გაუჩნდა მომავლის, პერსპექტივის დაკარგვის განცდა. იმ დროს პუტინმა წამოიწყო ჰიბრიდული ომი უკრაინაში, მოახდინა ყირიმის ანექსია. მაშინაც მოახერხა ელექტორალური რეიტინგის აკრეფა საზოგადოების იმპერიულად განწყობილ ნაწილში. ახლა ეს მეოთხედ მოხდა. ეს მიზეზი არ არის ერთადერთი. უკრაინა მაიდანის დროიდან გახდა პუტინის სიძულვილის, ასევე – ამერიკელებისა და სახალხო აჯანყებისადმი შიშის სამიზნე.

# დავით არახამია: „მივმართავ ევროკავშირსა და აშშ-ს, განიხილონ ივანიშვილისთვის პერსონალური სანქციების დაწესება“

– მივმართავ ევროკავშირისა და აშშ-ის ხელმძღვანელობას, განიხილონ ივანიშვილსა და მის აქტივებზე დასავლეთში პერსონალური სანქციების დაწესება.

ამის შესახებ უკრაინის რადის ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარე, უკრაინული დელეგაციის მომლაპარაკებელი დავით არახამია „ტელეგრამ“ გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში წერს.

არახამია განცხადებაში აღნიშნავს, რომ „დღეს ივანიშვილი საქართველოს იანუკოვიჩი გახდა“ და „ის და მისი მეგობრები ატარებენ უკრაინის მიმართ პოლიტიკას, რომელსაც ქართველი ხალხი მხარს არ უჭერს“.

– უკრაინელები და ქართველები ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მოძმე ერები.

საქართველოს გამოჩენილმა მოღვაწეებმა ჩვენი მხარდაჭერის ვიდეო მიმართვა 24 თებერვლამდეც კი ჩაწერეს, მაშინ, როცა ბევრი ქართველი უკრაინისთვის ფრონტის ხაზზე იბრძოდა. ისინი უჭერენ მხარს უკრაინას და ჩვენს გამარჯვებას ომში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამას საქართველოს ხელისუფლებაზე ვერ ვიტყვით.

მიზეზი კი მარტივია – ქვეყნის მთავარ ოლიგარქს, ბიძინა ივანიშვილს მჭიდრო კავშირები აქვს რუსულ პოლიტიკურ ელიტასთან, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ახლახანს გამოქვეყნებული აუდიოჩანაწერებით.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკის არსი, უბრალოდ, კრემლის მითითებების შესრულებაა. ეს არის მათი რიტორიკის მიზეზი, რომ არ აღიარონ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ჩადენილი სამხედრო დანაშაულები და დაეხმარონ რუსეთს სანქციების გვერდის ავლაში.

დღეს ივანიშვილი საქართველოს იანუკოვიჩი გახდა. ის და მისი მეგობრები ატარებენ პოლიტიკას უკრაინის მიმართ, რომელსაც ქართველი ხალხი მხარს არ უჭერს.

მათ სურთ ქართველებსა და უკრაინელებს შორის ათწლეულების განმავლობაში განხეთქილება ჩააგდონ. ამის თავიდან ასაცილებლად მივმართავ ევროკავშირისა და აშშ-ს ხელმძღვანელობას, განიხილონ ივანიშვილზე და მის აქტივებზე



დასავლეთში პერსონალური სანქციების დაწესება. პასუხისმგებლობას არავინ უნდა გაექცეს – არც ოკუპანტები და არც ისინი, ვინც მათ ეხმარებიან, – წერს არახამია განცხადებაში, რომელსაც საკუთარ „ტელეგრამ“ გვერდზე ავრცელებს.

შეგახსენებთ, ინტერნეტში ვრცელდება აუდიოჩანაწერი, რომელშიც, სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილსა და რუს ოლიგარქ ვლადიმერ ევტუშენკოვის საუბარია ასახული.

ჩანაწერი, რომლის ავთენტურობა არ არის დადგენილი, მარტივით თარიღდება.

# პეტრე ცისკარიშვილი: „აუცილებელია, ხიდაშელისა და ივანიშვილის მიმართ სანქციები დაწესდეს“

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ბიზნესმენებს დავით ხიდაშელსა და ბიძინა ივანიშვილს სანქციები უნდა დაუწესდეთ.

ის გუშინდელ, 25 აპრილის ბრიფინგზე გავრცელებულ აუდიოჩანაწერს გამოეხმაურა, რომელშიც, სავარაუდოდ, ბიძინა ივანიშვილსა და რუს ოლიგარქ ვლადიმერ ევტუშენკოვის საუბარია ჩაწერილი.

პეტრე ცისკარიშვილის თქმით, ევტუშენკოვი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის გარემოცვის უახლოესი წრის წარმომადგენელია.

– პარტიის სახელით გვინდა გამოვეხმაუროთ და ასევე საგანგებო განცხადება გავაკეთოთ გავრცელებულ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით.

ჩვენ გვქონდა საშუალება, დეტალურად გავცნობოდით ამ ჩანაწერებს ისევე, როგორც შეძლებისდაგვარად შეგვესწავლა ივანიშვილის თანამოსაუბრის, ბატონი ვლადიმერ ევტუშენკოვის საქმიანობა. ევტუშენკოვი არის პუტინის გარემოცვის უახლოესი წრის წარმომადგენელი. სწორედ ამიტომ არის ის სანქცირებული, რადგან ის არის კრემლის რეჟიმის კარის ოლიგარქი.

უფრო მეტიც, მის დაქვემდებარებულ სისტემაში შედის საწარმო, რომლის სახელი არის „კრონშტატ ტექნოლოჯი“ და ის აწარმოებს „ორიონის“ ბრენდის ქვეშ სამხედრო შემტევ უპილოტო სამხედრო დრონებს. მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, პირდაპირი კონკურენტია იმ „ბაირაქტარის“, რომელიც ყველამ ძალიან კარგად ვიცით.

ამ პიროვნებასთან ჰქონდა ბიძინა ივანიშვილს თვე-ნახევრის წინ საქმიანი მოლაპარაკება. რამდენიმე კვირის წინ, როდესაც უკრაინელმა კოლეგებმა დააყენეს საკითხი, საქართველოს მონაწილეობაზე რუსეთის მიერ სანქციების გვერდის ავლასთან დაკავშირებით, ჩვენი ხელისუფლება მოითხოვდა, დაგვიმტკიცეთ, წარმოადგინეთ მტკიცებულებაო და ა.შ. როგორც ჩანს, უკრაინელ კოლეგებს უკვე იმ დროისთვის ჰქონდათ არსებული ინფორმაცია იმიტომ, რომ მათ ძალიან კარგად იციან, თუ რას ნიშნავს „ზერნო“.

როდესაც „ზერნოზეა“ საუბარი, აქ არ იგულისხმება არც ხორბალი და არც მარცვლეული, ეს არის პირდაპირ მინიშნება ფულზე, დოლარებსა და რესურსებზე, – განაცხადა ცისკარიშვილმა.

მისი თქმით, დასავლეთმა ძალიან კარგად იცის, თუ სადამდე მივიდა „ზერნოსთან“ დაკავშირებული თანამშრომლობა ივანიშვილსა და ევტუშენკოვს შორის.

– ევტუშენკოვი არის უშუალო ხელმძღვანელი ვინმე დავით ხიდაშელის, რომელმაც ჯერ ე.წ. რუკები წარმოადგინა და 2 უდანაშაულო ადამიანი ციხეში აღმოჩნდა საპარლამენტო არჩევნების წინ მისი „საქმიანობის“ შედეგად. ახლა, სულ ბოლოს, 104 ათასი ჰექტარი ტყის მასივი 49-წლიანი იჯარით აიღო.

ყველანი კარგად ვხვდებით, თუ რა ტიპის თანამშრომლობაზე გვაქვს საუბარი ამ ორ დაჯგუფებას შორის. აქედან გამომდინარე, გასაგებია, რომ დასავლეთმა და დაზვერვითმა სამსახურებმა გაცილებით მეტი იციან ამ თანამშრომლობს შესახებ, ვიდრე აუდიოჩანაწერებში მოვისმინეთ, მაგრამ აუცილებელია, როგორც დავით ხიდაშელზე, ასევე ბიძინა ივანიშვილზე, ქართული ეთნიკური წარმოშობის, მაგრამ შინაარსით რუსი ბიზნესმენებისა და ამ ორი ოლიგარქის მიმართ სანქციები დაწესდეს იმისთვის, რომ საქართველო არ აღმოჩნდეს უფრო მეტ სირთულეში.

ვხედავთ, ჩვენ თვალწინ როგორ ხდება გეოპოლიტიკური ცვლილებები, უკვე ეშვება და მომავალში უფრო მყარად ჩამოეშვება რკინის ფარდა დასავლეთსა და რუსეთს შორის.

ჩვენ არ გვინდა, რამდენიმე ადამიანის გამდიდრების გამო საქართველო რკინის ფარდის ბნელ და არასწორ მხარეს აღმოჩნდეს, – განაცხადა ცისკარიშვილმა.

# პატრიარქი: „ომში, რომელსაც რუსეთი უკრაინაში აწარმოებს, შემზარავ ფაქტებს აქვს ადგილი“

– უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენ მეზობლად – არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა.

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის სააღდგომო ეპისტოლეშია ნათქვამი.

როგორც ეპისტოლეშია ნათქვამი, დიდი უბედურების მომტანია ქვეყნებს შორის ომი, რადგან იგი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ფეხქვეშ თელავს ყოველგვარ კანონს, ზნეობას, ღირებულებას, მოაქვს ნგრევა და მატერიალურ-კულტურული ზიანი, თესავს სისასტიკესა და საყოველთაო სიძულვილს, რაც, რა თქმა უნდა, სულიერადაც მეტად მძიმე ვითარებას ქმნის.

– ასეთ გარემოში მნიშვნელოვანია და აუცილებელი თანალმობისა და სიკეთის გამოჩენა ომის მსხვერპლთა მიმართ (დაჭრილების, ტყვეების, მშიერ-მწყურვალთა, ბავშვების, ქალების, მოხუცების, სნეულთა და სხვათადმი), რათა დაიძლიოს ბოროტება. უდიდეს გულისტკივილს იწვევს დღეს მსოფლიოში მიმდინარე ომები, განსაკუთრებით ჩვენს მეზობლად, რომელსაც რუსეთი აწარმოებს უკრაინაში, სადაც ადგილი აქვს შემზარავ ფაქტებსა და უმძიმეს სისასტიკეს. ამიტომაც, ყველას გვმართებს განსაკუთრებული ლოცვა და ძალისხმევა მშვიდობისათვის.

ამჟამად არსებული მდგომარეობა კი ისეთია, როდესაც აღარავინ იცის, ხვალინდელი დღე რას მოიტანს და მოვლენები როგორ განვითარდება; პროცესები შეიძლება მალე დასრულდეს ან ხანგრძლივ დაპირისპირებაში გადაიზარდოს, ან, შეიძლება, ყველანი გლობალური კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ, რაც, ბუნებრივია, საყოველთაო შიშს ბადებს.

მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ურთულესი ვითარებიდან უფალს მრავალჯერ დაუხსნია კაცობრიობა; მთავარია, უმძიმეს მდგომარეობაშიც არ დავკარგოთ ადამიანური ღირსებები, არ დავკარგოთ რწმენა და სასოება შემოქმედისა, – აღნიშნულია ეპისტოლეში.

# თბილისში სახლები ყველაზე ძვირია მთაწმინდაზე, ყველაზე იაფი – გლდანში

2022 წლის იანვარ-მარტში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ბინებზე ფასი – 4.5%-ით, ხოლო კერძო სახლებზე 1%-ით გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მისივე ცნობით, 2022 წლის პირველ კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით საცხოვრებელი უძრავი ქონების ფასების ინდექსი 4.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ინდექსის წლიურმა ზრდამ 3.4 პროცენტი შეადგინა.

ინდექსის დაფარვა შემოიფარგლება თბილისით და მოიცავს მხოლოდ ახალი საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარს, როგორც მრავალსართულიანი სახლების (ბინების), ისე კერძო სახლების სეგმენტებს. 2022 წლის პირველ კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით ფასების ზრდა დაფიქსირდა როგორც საცხოვრებელი ბინების სეგმენტში (5.4 პროცენტი), ისე კერძო სახლების სეგმენტში (2 პროცენტი). 2021 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ფასების ზრდა ასევე დაფიქსირდა ორივე სეგმენტში – ბინებზე 4.5 პროცენტით, ხოლო კერძო სახლებზე 1 პროცენტით.

**„საქსტატმა“ გამოაქვეყნა კერძო სახლების ფასები 1 კვ. მეტრზე თბილისის სხვადასხვა უბნის მიხედვით:**

მთაწმინდა – 3.470 ლარი;
გლდანი – 1.675 ლარი.

# „პუტინი ილუზიებშია, სამედიცინო დაკვირვება ესაჭიროება“

## ვახტანგ მაისაია: „ამერიკასა და რუსეთს საკმარისზე მეტი შეიარაღება გააჩნიათ და ორივეს შეუძლია, ერთმანეთი გაანადგურონ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.



***— ბატონო ვახტანგ, უკრაინაში რუსეთის სასტიკი ომის ფონზე საქართველოში იმყოფებოდა ნატოს გენმდივნის თანაშემწე ჯეიმს აპატურაი, რომელმაც დახურული შეხვედრა გამართა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში. შემდეგ ითქვა, რომ ნატო საქართველოს დაეხმარება კიბერ და ენერგოუსაფრთხოების საკითხებში, ასევე, ნატოს კარი ჩვენთვის ღიაა. რას ნიშნავს ნატოს წარმომადგენლის ეს განცხადება მაშინ, როდესაც უკრაინა, ფაქტობრივად, დანგრეულია და მის ტერიტორიაზე სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობს, ჩვენ რას უნდა ველოდოთ?***

— ჯეიმს აპატურაი კავკასიის რეგიონს კურირებდა. შეიძლება, ახლაც კურირებს. ღია კარის შესახებ განცხადება ნატოს ჩვეულებრივი მესიჯია, რომ საქართველომ ევროატლანტიკურ ორიენტაციას არ გადაუხვიოს, თანმიმდევრული აქტორი იყოს და საგარეო-ეკონომიკური კურსის ევროატლანტიკური მიმართულება გაღრმავდეს, რაც რეალური მიმართულებაა.

ენერგოუსაფრთხოების საკითხში დიდი წვლილი შევიტანე, როდესაც საქართველოს მისიაში მრჩეველი ვიყავი. მაშინ სპეციალური ინიციატივა წარვადგინე, რომ ნატოს ეკონომიკურ კომიტეტში ენერგოუსაფრთხოების საკითხებზე დიალოგი დაწყებულიყო. ფაქტობრივად, ენერგოუსაფრთხოების თემაზე ნატოს კონტექსტში საქართველოსა და კავკასიის რეგიონზე პირველად ინიციატივა მე შევიტანე.

მე ვიყავი ნატოს ეკონომიკური უსაფრთხოების დირექტორატის მრჩეველი. ამდენად, ვიცი, რაზეა საუბარი. კიბერუსაფრთხოების სფერო რეალურ დახმარებას საჭიროებს, დავუშვათ, ამ კუთხით ნატო რომ დაგვეხმაროს, თუ იქნება კოორდინაცია და რეფორმები გაგრძელდება.

***— ასევე ითქვა, რომ რუსეთის ენერგომატარებლებზე უარის თქმის პირობებში, საქართველოს უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.***

— დიახ, ეს იგივეა, საქართველოს ტერიტორიის გავლით, ევროპის მიმართულებით, კასპიური ენერგორესურსები რომ გატარდეს და ევროპულმა სახელმწიფოებმა კასპიისპირეთის ნავთობისა და გაზის რესურსები მოიხმარონ.

***— ამ პირობებში იმის თქმა, რომ ნატოს კარი საქართველოსთვის ღიაა, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ომის ფონზე საქართველოს ნატოში მიღების საკითხის გააქტიურება საჭიროა?***

— ყველაფერი შესაძლებელია, საკითხის გააქტიურებას წინ არაფერი უდგას, უკრაინის ომმა შეიძლება ბევრი საკითხი მწვავე კუთხით დაანახა და სხვა კონტექსტში წარმოაჩინა. ნატოს ივნისის მადრიდის სამიტზე როგორ წარიმართება მოვლენები, ალბათ, გამოჩნდება იმის მიხედვით, როგორ განვითარდება უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის მეორე ფაზა.

***— როგორ ვითარდება?***

— მეორე ფაზა ისე ვითარდება, როგორც ვპროგნოზირებდი. მე მეორე ფაზის დაწყებას 15-18 აპრილს ვვარაუდობდი. ზუსტად ამ პერიოდში დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომის მეორე ფაზა. მოვლენების განვითარების ტენდენცია მაისის დასაწყისში გამოჩნდება, როგორი ტემპით წარიმართება ბრძოლები და როგორ შეძლებენ უკრაინის შეიარაღებული ძალები მეორე ფაზაში თავიანთი პოზიციების განმტკიცებასა და მტრის მოგერიებას. ესეც საინტერესო მომენტია. რუსები ყველა მიმართულებით ზეგავლენას აგრძელებენ. არ არის გამორიცხული, ზეწოლა საქართველოს მიმართულებითაც განახორციელონ.

***— საქართველოს მიმართ რუსეთიდან რა სახის ზეწოლა შეიძლება იყოს?***

— მათ პირველი ვარიანტი უკვე დააანონსეს, ე.წ. რეფერენდუმის ჩატარება. ინფორმაცია ახლახან სეპარატისტული რეგიონის მასმედიაში გაჩნდა. ალან გაგლოევი ინტერვიუში ამბობს, რომ ის მიესალმება „სამხრეთ ოსეთის“ ჩრდილოეთ ოსეთთან ე.წ. გაერთიანებას. როგორც მე ვხვდები, ეს არის კრემლის კოზირი საქართველოზე ზეწოლისთვის, თუ ჩვენ გავაგრძელებთ ნატოსკენ სვლას და კიდევ სხვა ტენდენციების განვითარებას, ნატოშიც არიან სკეპტიკოსები, მაგალითად, გერმანია, უნგრეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია. საქართველოს მიმართ მათი პოზიცია საინტერესო იქნება. უკრაინასთან დაკავშირებით რა გითხრათ? ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია. ომის პირობებში უკრაინის ნატოში გაწევრიანება ამ ეტაპზე შეიძლება განხილვის თემა არ იყოს. იქ საომარი მოქმედებები მიმდინარეობს.

ბუნებრივია, უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხი, ალბათ, საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ განიხილება. ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი უფრო იოლი გადასაწყვეტია, რადგან ევროკავშირი სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება არ არის. მას არ გააჩნია თავდაცვითი პოლიტიკის კონკრეტული კონტურები. ამიტომ ევროკავშირი უფრო მოქნილია უკრაინასთან დაკავშირებით, ვიდრე ნატო.

დარჩა საქართველოს საკითხი. მოლდოვას ისედაც კონსტიტუციური შეზღუდვა აქვს, რომელიც ქვეყანას უკრძალავს რომელიმე სამხედრო ბლოკში ყოფნას. ამიტომ მოლდოვის ნატოში გაწევრიანების საკითხი არ დგას. შეიძლება, ნატოს ახალი გაფართოვება მოხდეს შვედეთისა და ფინეთის მიღებით. შვედეთსა და ფინეთს შეიძლება საქართველოც მიებას. ამგვარად, შეიძლება, ეს სამი სახელმწიფო ნატოში გაწევრიანების გზაზე დადგეს, დავუშვათ, ამ სამ სახელმწიფოს მაპის სტატუსი მიენიჭოს.

***— ანუ გაწევრიანების სამოქმედო გეგმა გადაეცეთ.***

— დიახ, მაგრამ ამისათვის, ალბათ, საქართველოს ხელისუფლებამ ძალისხმევა უნდა გააააქტიუროს, უნდა იაქტიუროს. აპატურაის ვიზიტი შეიძლება ამასაც გულისხმობდეს. ჩვენც უნდა გავაქტიურდეთ. ბოლოს როდის იყო საქართველოს მაღალი თანამდებობის პირი წასული, არ ვიცი.

***— მგონი, ღარიბაშვილი უკრაინის ომის წინა პერიოდში იყო ევროპაში და სტოლტენბერგსაც შეხვდა.***

— ეპიზოდური სახის ვიზიტებს არ ვგულისხმობ. მხოლოდ ბრიუსელში ჩასვლა საკმარისი არ არის.

***—საქართველოსთვის მაპის მონიჭება რუსეთს გააღიზიანებს, მაგრამ, შემაკავებელი ფაქტორი თუ იქნება, რომ საქართველოს აღარ შეეხოს?***

— ეჭვი მეპარება, რომ მაპი რუსეთისთვის შემაკავებელი იყოს. ნატოსა და რუსეთს შორის ჰიბრიდული ომი მიმდინარეობს. პუტინის რეჟიმი არავის ეპუება და დასავლეთზე ალერგია აქვს.

***— პუტინმა თქვა, მსოფლიოს ჩვენი შურსო. თქვენ რას ატყობთ, მსოფლიოს რუსეთის მიმართ შური ამოძრავებს?***

— რა შური უნდა ამოძრავებდეს, სასაცილოა, მაგრამ პუტინი თავის ილუზიებშია. როგორც ჩანს, გარკვეული სამედიცინო კუთხით დაკვირვება ესაჭიროება.

***— პუტინი ილუზიებშიაო. გავრცელდა ახალი ბალისტიკური რაკეტის გამოცდის ჩატარების კადრები. ეს რის მანიშნებელია?***

— ბალისტიკური რაკეტების ტესტირება პერიოდულად ხდება. არაფერი ისეთი არ არის, შეიძლება, გეგმური გამოცდაც იყო. ასეთი ბალისტიკური და სარაკეტო კომპლექსების ტესტირება ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, უკრაინის ომისა და აგრესიის ფონზე, შესაძლოა, გაფრთხილებაც კი იყოს. ასეთი ბალისტიკური რაკეტების ტესტირება რეგულარულად ხდება.

***— ითქვა, რომ რუსეთმა ახალი ბალისტიკური რაკეტა გამოიგონა და გამოცადა, რომელსაც 18 ათას კილომეტრზე შეუძლია ობიექტის განადგურება, თან ამერიკის რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსებს მისი აღმოჩენა უჭირთო. თუმცა ამერიკელების განცხადებაში შეშფოთება არ იგრძნობოდა.***

— ამერიკა-რუსეთს შორის ახლა უკვე შეიარაღების რბოლა მიმდინარეობს. ამ რბოლას თავისი საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ომის ელემენტები გააჩნია და საინფორმაციო ხმაურს ქმნის.

რუსეთსა და ამერიკას საკმაო რაოდენობის ბირთვული ტრიადის კომპონენტები აქვთ, რომ ერთმანეთი გაანადგურონ. ამერიკა და რუსეთი ის სახელმწიფოები არიან, რომლებსაც ბირთვული ტრიადის კომპონენტები და არსენალი იმაზე მეტი აქვთ, ვიდრე საჭიროა.

***— რუსეთს უფრო მეტი და ძლიერი ატომური იარაღი აქვს თუ ამერიკას?***

— ამერიკასა და რუსეთს საკმარისზე მეტი შეიარაღება გააჩნიათ და ორივეს შეუძლია, ერთმანეთი გაანადგურონ, რაშიც უკვე ყოველგვარი აზრი იკარგება. ამერიკას 6 ათასი ბირთვული ქობინი გააჩნია.

***— მგონი, რუსეთს 7 ათასი ბირთვული ქობინი აქვს.***

— ქობინების რაოდენობას პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. ორივეს თითქმის თანაბარი რაოდენობის ქობინი გააჩნია. ახლა საუბრობდნენ იმაზე, რომ 6 ათასი ქობინი ჯერ 3 ათასზე დასულიყო, შემდეგ – 1500-ზე. 6 ათასი ქობინის გადამტანი საშუალება ორივეს საკმარისად აქვს. მათ გააჩნიათ ბირთვული ტრიადა: საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო.

***— გაშვებული რაკეტის შეჩერება თუ შეუძლიათ? პუტინი სრულ ჭკუაზე არ არისო. ვთქვათ, ბირთვული ქობინი გარკვეული მიმართულებით გაუშვა, ამერიკას შესაძლებლობა აქვს, გააჩეროს?***

— ამერიკამ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის შექმნა დაიწყო. ამერიკას გააჩნია მხოლოდ ერთი რაიონი, რომელიც საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის 1974 წლის ხელშეკრულებით არის განსაზღვრული. რუსეთსა და ამერიკას რამდენიმე რაიონი აქვთ – რუსეთს – მოსკოვი და მოსკოვის ოლქი, ამერიკას – კოლორადოს შტატი, სადაც სპეციალური მართვის ცენტრია, რომელიც მყარადაა დაცული და შეიძლება ბირთვული არმაგედონის პერიოდში გადარჩეს. სხვა სივრცეები მოწყვლადია.

ამერიკამ კი დაიწყო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეროვნული სისტემების შექმნა და რკინის ფარიც აქვს – სტრატეგიული ბადე შექმნა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. რუსებს სერიოზული ტიპის ბირთვული ტრიადის ელემენტები გააჩნიათ, რომლითაც შეიძლება, რკინის ბადე ძალიან იოლად გაარღვიონ, განსაკუთრებით, რუსების მიერ ზეჰიბრიდული, ანუ ზებგერითი სტრატეგიული შეიარაღების კომპონენტების განვითარების კონტექსტში.

***— თუკი რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, აქვს იმის გარანტია, რომ თვითონ გადარჩება და მის წინააღმდეგ იმავე იარაღს არ გამოიყენებენ?***

— გარანტია, რა თქმა უნდა, არ აქვს. აქ უკვე მოქმედებს ურთიერთნაცვალგების საფუძველზე ურთიერთგანადგურების პრინციპი. რეალურად, გადაჭერის საშუალება არ არის. თუ რუსეთმა მასობრივად გაუშვა რაკეტები, თავისი ბალისტიკური ბირთვული ტრიადა აამოქმედა, შესაბამისად, ბუნებრივია, ამერიკაც თავის იარაღს მასობრივად აამოქმედებს, რა დროსაც გადარჩენის შანსი ნულის ტოლია.

თუ იქნება ეპიზოდური, ვთქვათ, ერთი ბალისტიკური რაკეტის უნებლიე ან შეგნებული გაშვება, გადარჩენის შანსი უფრო მაღალია. თუ რუსეთმა მასობრივად გაუშვა (ეს საიდუმლო ინფორმაციაა. სავარაუდოდ, ვთქვათ, რუსეთს 2000 სახმელეთო ბალისტიკური სისტემა და ბალისტიკური სარაკეტო ბომბდამშენების 500-700 ერთეული შეიძლება ჰქონდეს. ამას ემატება კიდევ ტაიფუნის ტიპის სტრატეგიული წყალქვეშა ნავები, რომელთა რაოდენობა პირობითად, ვთქვათ, 20 ერთეული შეიძლება იყოს. ეს არის წყალქვეშა ნავების ბრიგადის შემადგენლობა. რუსეთმა მთლიანად ეს ბირთვული ტრიადა რომ აამოქმედოს, მას ვერაფერი შეაჩერებს და პირიქით, ამერიკელებს ანალოგიურად გააჩნიათ იგივე ბირთვული ტრიადის კომპონენტები. ამერიკელებს წყალქვეშა ნავებიც აქვთ, ბირთვული წყალქვეშა კრეისერები, რომლებსაც შეუძლიათ ბირთვული ბალისტიკური ფრთოსანი რაკეტების გალევა. ამერიკასაც გააჩნია ბალისტიკური ბომბდამშენები (რაც უფრო მეტი აქვს, ვიდრე რუსეთს), კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები და სარაკეტო სისტემები.

***— რუსებმა განაცხადეს, სპეცოპერაციას ვატარებთ, მაგრამ შესაძლებელია, ახლა უკრაინას ომი გამოვუცხადოთო. ე.წ. სპეცოპერაციით მთელი უკრაინა დაანგრიეს, ომის გამოცხადების შემდეგ რაღა უნდა იყოს?***

— ომის გამოცხადების შემდეგ შეიძლება უფრო მძლავრი კომპონენტი ამოქმედდეს. რუსეთმა უკრაინას ომი რომ გამოუცხადოს, მაშინ მობილიზაციის გამოცხადება მოუწევს. ომის გამოცხადებით რუსეთის ამჟამინდელი მილიონიანი არმია შეიძლება 3-5 მილიონამდე გაიზარდოს, რის შემდეგაც ომს ტოტალური განადგურების ეფექტი ექნება.

თუ ახლა რუსეთისა და უკრაინის შეიარაღებული ძალების შეფარდება პირობითად ერთი ერთზეა (ერთი ერთზე ცოტა მეტია), ტოტალური ომის გამოცხადების შემთხვევაში, ეს თანაფარდობა შეიძლება გახდეს ხუთი ერთზე.

***— უკრაინას იარაღის საწარმოები დახურული აქვს და იარაღის წარმოების საშუალება არ ეძლევა, რადგან ყოველდღიურად კეთდება განცხადებები, იარაღი მოგვაწოდეთო.***

— პირიქით, დასავლეთი უკვე მიხვდა, რომ შეიარაღება საკმარისი ნამდვილად არ არის. ამიტომ იარაღის მიწოდებაზე ზრუნვა და ფიქრი დაიწყეს – რამდენი იარაღი მიეწოდება, რა კუთხით და რამდენად ეფექტურად გამოიყენება.

***— რუსეთი იმუქრება, იმ გზას დავბომბავ, საიდანაც იარაღი შედის უკრაინაშიო.***

— დიახ, ასეთი სამწუხარო რეალობაა.

***— ყველაზე რთული ვითარება სად არის?***

— ამ ეტაპზე ყველაზე რთული ვითარება დონბასშია.

***— ავღანეთთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თალიბების რუსეთზე შეტევის სცენარი არ გამორიცხეთ. რუსეთზე შეტევა – არა, მაგრამ, მგონი, ტაჯიკებმა განაცხადეს, რომ ავღანეთისაგან სერიოზული საფრთხე ემუქრებათ.***

— არა მხოლოდ ტაჯიკეთს ემუქრება საფრთხე, არამედ ავღანეთის ტერიტორიიდან უზბეკეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზა დაიბომბა. მართალია, ისლამური სახელმწიფოს, დაიშის მებრძოლებმა, ტერორისტებმა დაბომბეს, მაგრამ რეალურად ავღანეთის პრობლემაა.

***— მოსკოვთან როგორი პოზიცია აქვთ?***

— ავღანეთმა მოსკოვში დიპლომატიური მისია გახსნა, რაც საინტერესო მოვლენაა.

***— ანუ ავღანელები პუტინის ომს უკრაინაში მხარს უჭერენ.***

— ავღანეთიდან ძალიან შორია. ახლა ომი ავღანეთსა და პაკისტანს შორის იწყება. სერიოზული დაძაბული ურთიერთობებია. სასაზღვრო ბრძოლები მიმდინარეობს და, ფაქტობრივად, შეიძლება, პაკისტანმა თალიბებს ომი გამოუცხადოს.

## უკრაინაში მებრძოლმა ქართველებმა ზელენსკის სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით წერილით მიმართეს

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ ეკა ხერხეულიძის ინფორმაციით, უკრაინაში მებრძოლმა ქართველებმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით წერილით მიმართეს.

როგორც ხერხეულიძე განმარტავს, უკრაინაში მებრძოლ ქართველები მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მესამე პრეზიდენტის ტყვეობიდან დახსნას ითხოვენ.

— უკრაინაში მებრძოლი ქართველი მეომრები მიმართავენ პრეზიდენტ ზელენსკის ერთადერთი თხოვნით. მათ არ გააჩნიათ არანაირი პირადი სურვილი და მოთხოვნები. ისინი ითხოვენ მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მესამე პრეზიდენტის ტყვეობიდან დახსნას, — აღნიშნა ეკა ხერხეულიძემ „მთავარი არხის“ ეთერში.

## საქართველოში შაქრის იმპორტი განახევრდა

საქართველოში შაქრის იმპორტის მოცულობა განახევრდა. კერძოდ, 2022 წლის მარტში საქართველოში 6,415 ტონა შაქრის (4,049 მლნ აშშ დოლარის ღირებულების) იმპორტი განხორციელდა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდში კი ქვეყანაში 12,486 ტონა შაქარი (6,034 მლნ აშშ დოლარის ღირებულების) შემოვიდა.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, სად იყიდა საქართველომ მიმდინარე წლის მარტში პროდუქტი:

აზერბაიჯანი – 3.316 ტონა ( 2,063 მლნ აშშ დოლარი)
პოლონეთი – 3.078 ტონა (1,923 მლნ აშშ დოლარი)
საფრანგეთი – 13,7 ტონა (37.7 ათასი აშშ დოლარი)
თურქეთი – 5.2 ტონა (20 ათასი აშშ დოლარი)
სომხეთი – 1.4 ტონა (1.800 აშშ დოლარი)

1 ტონაზე ნაკლები მოცულობის შაქრის იმპორტი კი ბელგიიდან, ჩინეთიდან, ისრაელიდან და რუსეთიდან განხორციელდა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ყველაზე მეტი შაქარი საქართველომ ბრაზილიისგან იყიდა – 9,500 ტონა, პოლონეთისგან – 1,206 ტონა, თურქეთისგან – 997 ტონა, ბელარუსისგან კი – 174 ტონა.

წელს ჩამონათვალში არც ბრაზილია და არც ბელარუსი აღარ არიან.

შეგახსენებთ, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ საქართველოში შაქრის პანიკური შესყიდვები დაიწყო, რამაც პროდუქტზე დეფიციტი გამოიწვია.

# ორსული ქეთა კეპულაძის მკვლელი ქმარი, გოგა გზირიშვილი, შეზღუდულად შერაცხადია

ორსული ცოლის, ქეთა კეპულაძის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობაში ბრალდებული გოგა გზირიშვილი შეზღუდული შერაცხადია.

აღნიშნულის შესახებ სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაშია ნათქვამი, რომელიც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი.

დასკვნა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერაა გაცემული. დასკვნის მიხედვით, ბრალდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში საკუთარ ქცევას სრულად ვერ აკონტროლებდა.

როგორც ბრალდებულ გოგა გზირიშვილის ადვოკატი, მევლუდ ჯანჯღავა აცხადებს, აღნიშნული დასკვნა ბრალდებულს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ ათავისუფლებს, თუმცა სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შესაძლოა, შემამსუბუქებელ გარემოებად გამოიყენოს.

– შეზღუდული შერაცხადი არის ადამიანი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისას არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ დანაშაული ვერ გაეცნობიერებინა, მაგრამ მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ არის იმ სტანდარტზე, რაზეც ჯანმრთელი ადამიანის ფსიქიკაა, თუმცა ის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება, – აცხადებს ჯანჯღავა.

ცნობისთვის, გასული წლის 22 დეკემბერს, თბილისში, ბრალდებულმა გოგა გზირიშვილმა განზრახ მოკვლის მიზნით, დანით ორსულ მეუღლეს, ქეთა კეპულაძეს, განსაკუთრებული სისასტიკით, სხეულის სხვადასხვა არეში 30 ჭრილობა მიაყენა.

მიყენებული დაზიანებების შედეგად ორსული კეპულაძე შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გზირიშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111,109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტებითა და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, ოჯახის წევრის მიმართ, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



გოგა გზირიშვილი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ სრულად ცნობს.

დანაშაულის ჩადენის შემდეგ მომხდარის შესახებ სამართალდამცავებს თავად დაურეკა.

# დეტექტივი ერიკ წურწუმია: „ამ ცოდვით უნდა ვიცხოვრო“



– ამ ცოდვით უნდა ვიცხოვრო – ეს სიტყვები სასამართლო პროცესზე ძველი თბილისის მე-4 სამმართველოს დეტექტივმა, ერიკ წურწუმიამ, რომლის მიერ გასროლილ ტყვიასაც ზურაბ გველესიანი ემსხვერპლა, განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ის, სამწუხაროდ, ვერაფერს შეცვლის.

– სამწუხარო ფაქტი მოხდა, გარდაცვლილია ახალგაზრდა მამაკაცი ამ მძიმე მარხვაში. ამ ცოდვით უნდა ვიცხოვრო მთელი ცხოვრება. ვერაფერს ვერ შევცვლი, – განაცხადა წურწუმიამ.

ცნობისთვის, 18 აპრილს წყნეთში, ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე, ძველი თბილისის მე-4 სამმართველოს დეტექტივის ერიკ წურწუმიას მიერ გასროლილ ტყვიას 30 წლის ზურა გველესიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

გამოძიების ინფორმაციით, ერიკ წურწუმიას ნარკოტიკული საშუალების შესაძლო უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტთან დაკავშირებით შემთხვევის ადგილზე გამოცხადებისას, ზურა გველესიანის დაკავების ღონისძიების განხორციელების დროს, შემთხვევით გაუვარდა სამსახურებრივი იარაღი, რის შედეგადაც გველესიანი გარდაიცვალა.

წურწუმიას ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე და 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარუდგინა, რაც სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობასა და სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ერიკ წურწუმიას 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

# „ეს ჩემი ცხოველი შიშაა“

## თბილისში ნახატებს ბარის მზარეული აკეთებდა

ბოლო რამდენიმე დღეა, სოციალურ ქსელში ვრცელდება თბილისის ქუჩებში დატოვებული ნახატები და წარწერები, რომელიც საზოგადოების ნაწილმა რუსულ საოკუპაციო სიმბოლიკას დაუკავშირა.

„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, დადგენილია პირი, რომელიც ქალაქში აღნიშნულ ნახატებს აკეთებდა. აღმოჩნდა, რომ ის თბილისში მცხოვრები ახალგაზრდა მამაკაცია, რომელიც თბილისის ცენტრში არსებულ ერთ-ერთ ბარში მზარეულად მუშაობს.

მამაკაცი ხშირად ხატავს. მას ჰყავს შინაური ცხოველი, რომელსაც „შიშა“ ჰქვია და ბოლო დროს სწორედ მას ხატავდა თბილისის ქუჩებში.

ახალგაზრდა მამაკაცი პოლიციის განყოფილებაში რამდენიმე საათის განმავლობაში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

შსს-ს თქმით, „პირი ნამდვილად იდენტიფიცირებულია, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები არ გამოიკვეთა, დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოება, საქმე რეაგირების მიზნით გადაეცემა შესაბამის სამსახურს. ასევე იდენტიფიცირებულია არასრულწლოვანი, რომელმაც ფალიაშვილის ქუჩაზე აღნიშნული წარწერები საღებავით გააფერადა“.

# ქუთაისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს ციხე ემუქრებათ

ქუთაისის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები, შესაძლოა, ციხეში აღმოჩნდნენ.

დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურამ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაზე გამოძიება, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე დაიწყო.

საუბარია აუდიტის სამსახურის დასკვნაზე, რომლის ანგარიშში წერია, რომ მერიისა და საკრებულოს მაღალჩინოსნები ხალხის ფულს სოციალური შემწეობების სახით იღებდნენ, ასევე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე თანხები იხარჯებოდა, თუმცა სამუშაოები არაჯეროვნად სრულდებოდა.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის შეძენილ ავტობუსებს, აუდიტის დასკვნის მიხედვით, ის მუდმივ შეკეთებას საჭიროებს.

წერილი პროკურატურიდან ნაციონალური მოძრაობის წევრმა გიგა შუშანიამ მიიღო.



– პროკურატურამ დაიწყო უკვე გამოძიება 2019-2020 წლების საქმეზე. ქუთაისის მერი დღეს ცდილობს, ყველას დააბრალოს მთლიან „ქართულ ოცნებასა“ და ყოფილ მერს, ოღონდ თვითონ გადარჩეს, თუმცა არ აღიარებს, რომ უხარისხო ავტობუსები სწორედ მისი მერობის დროს ჩამოიყვანეს და მისი მერობის დროს მოხდა ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩაბარება. ამიტომ დაისვას მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი, – განაცხადა გიგა შუშანიამ.

# თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს

## დაკავებულია 7 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს. დაკავებულია 7 პირი.

თბილისში დააკავეს:

1990 წელს დაბადებული ქ.ი. ნივთმტკიცებად ამოიღეს პისტოლეტი, მჭიდი და 11 საბრძოლო ვაზნა.

1998 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჯ.თ. ამოიღეს პისტოლეტი, მჭიდი და 17 საბრძოლო ვაზნა

1960 წელს დაბადებული ზ.ფ. ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 29 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო.



1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.ხ. ამოიღეს ნაგანის სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, 6 ვაზნა და გასაშლელი დანა.

ზუგდიდში დააკავეს 1979 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ვ.ჯ. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, პისტოლეტი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 42 საბრძოლო ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

რუსთავში 1990 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ჯ.მ. პოლიციამ რუსთავში, ბრალდებულის პირადი ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი და 26 საბრძოლო ვაზნა.

ყვარელში 1989 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გ.მ. პოლიციამ ნივთმტკიცებად ამოიღო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 50 საბრძოლო ვაზნა.

ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისა და ტარების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს. დანაშაულები 3-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# მარტვილში დაკარგული 13 წლის გოგონა იპოვეს

მარტვილში გაუჩინარებული 13 წლის გოგო ნაპოვნია.

„კურიერის“ ინფორმაციით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მოზარდი თავს კარგად გრძნობს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ადასტურებს.

13 წლის გოგო ოთხშაბათს დილით სკოლაში წავიდა და მას შემდეგ ოჯახი 3 დღის განმავლობაში სამართალდამცველების დახმარებით ეძებდა.

# ლანჩხუთის რესტორანთან 4 პირის დაჭრისთვის გ.პ. დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ლანჩხუთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტთან ერთად, 1993 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.პ. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მისივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 20 აპრილს, ლანჩხუთში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, ამავე რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, 4 მამაკაცს: 1986 წელს დაბადებულ ი.მ.-ს, 1995 წელს დაბადებულ გ.გ.-ს, 1999 წელს დაბადებულ ლ.გ.-სა და 1981 წელს დაბადებულ გ.ტ.-ს ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცები საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათგან კლინიკაში მხოლოდ ერთი რჩება, რომელსაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.



სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გ.პ. მომხდარიდან რამდენიმე საათში ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა – ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

აღნიშნული დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# „რუსთავის სასაფლაოდან ეკლესია მოგპარეს“

რუსთავში სასაფლაოები გაქურდეს.

როგორც სოციალური ქსელის მომხმარებელი „ინფო რუსთავის“ ღია ჯგუფში წერს, მას ნივთი დედის საფლავიდან მოჰპარეს.

„დედის საფლავზე, რომელიც 8 თვის გარდაცვლილია, ეკლესია მოგვპარეს! ხალხნო, ყველაფრის მოპარვა გამიგია, მაგრამ ეკლესიის მოპარვა არ გამიგია, შიგნით დედას სურათი და სანთლები გვედო, არ ვიცი, რა ვთქვა, უფალმა შეუნდოს ეს საშინელი ცოდვა ამის გამკეთებელს“, – წერს ნათია ბახტაძე.

როგორც მან „ინფო რუსთავს“ უთხრა, ეკლესია დაწებებული იყო. უცნობმა პირებმა ის ჩატეხეს და ისე მოიპარეს.

როგორც პოსტის კომენტარებიდან ირკვევა, ბოლო პერიოდში ეს რუსთავში საფლავების გაქურდვის ერთადერთი ფაქტი არ არის.

მოქალაქეები წერენ, რომ საფლავებიდან სკამები და სხვადასხვა ნივთები სისტემატურად მიაქვთ.

# ყვარელში ავარიაში 25 წლის ქალი დაიღუპა

ყვარლის მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევას 25 წლამდე ქალი ემსხვერპლა.

შემთხვევა 23 აპრილს, გვიან ღამით, სოფელ შილდასთან მოხდა.

მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც ცოლ-ქმარი მცირეწლოვან შვილთან ერთად იჯდა, ბოძს შეეჯახა.

შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ახალგაზრდა ქალი, მისი შვილი და ქმარი კი მძიმედ დაშავდნენ. ორივე დაშავებული საავადმყოფოშია მოთავსებული.

მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

# საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში მაკრონი იმარჯვებს




საფრანგეთში გამართულ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში, ეგზიტპოლის მონაცემების მიხედვით, საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი, ემანუელ მაკრონი, ხმების 58,2 პროცენტით ლიდერობს.

მისი მეტოქე ულტრამემარჯვენე მარინ ლე პენია, რომელსაც, წინასწარი პროგნოზით, ხმების 41,8 პროცენტი აქვს.

– მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა ფრანგ მამაკაცსა და ქალს, რომლებმაც პირველ და მეორე ტურში ნდობა გამომიცხადეს, რათა განვახორციელოთ ჩვენი პროექტი უფრო დამოუკიდებელი საფრანგეთისა და უფრო ძლიერი ევროპისთვის.

ამის შესახებ საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა არჩევნებში გამარჯვების აღსანიშნავად სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, მისი მეორე ვადა არ იქნება პირველის გაგრძელება.

– ეს ახალი ერა არ იქნება იმ ხუთწლიანი ვადის გაგრძელება, რომელიც დასასრულს უახლოვდება, არამედ იქნება ახალი მეთოდის კოლექტიური გამოგონება ჩვენი ქვეყნისა და ახალგაზრდობის უკეთესი სამსახურისთვის მომავალი 5 წლის განმავლობაში, – აღნიშნა მაკრონმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ყველას პრეზიდენტი იქნება.

– ვიქნები ყოველი თქვენგანის პრეზიდენტი. ვიცი, რომ ბევრმა ჩვენმა თანამემამულემ დღეს ხმა მომცა არა იმ იდეების მხარდასაჭერად, რომლებსაც მე ვატარებ, არამედ – ულტრამემარჯვენეების იდეების დასაბლოკად. მინდა, მათ მადლობა გადავუხადო და ვუთხრა, რომ ვიცი, ეს ხმა მომავალ წლებში ვალდებულებას მაკისრებს, – აღნიშნა ემანუელ მაკრონმა.

მან მიმართა იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ხმა ლე პენს მისცეს და აღნიშნა, რომ როგორც პრეზიდენტმა, უნდა მოძებნოს პასუხი „ბრაზსა და უთანხმოებაზე“, რამაც ისინი აიძულა, ხმა ულტრამემარჯვენეებისთვის მიეცათ.

# ენტონი ბლინკენი: „კიევისთვის ბრძოლა მოგებულია“



აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის განცხადებით, უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისა და მის გუნდთან შეხვედრა დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა.

– ეს იყო ჩვენი ვიზიტის მთელი აქცენტი. გვინდოდა, ფოკუსირება მოგვეხდინა სამუშაოზე, რომელიც უნდა შესრულდეს იმ გეგმის განხორციელებისას, რომელიც გვაქვს და ასევე განგვეხილა, როგორ მივიწევთ წინ ყველა ამ სხვადასხვა ძალისხმევის მიმართულებით, – განუცხადა ბლინკენმა ჟურნალისტებს პოლონეთში, უკრაინის საზღვართან.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რა ნახეს მათ დედაქალაქისკენ მიმავალ გზაზე, ბლინკენმა უპასუხა, რომ სამხრეთ-დასავლეთ პოლონეთიდან კიევში მატარებლით ჩავიდნენ.

– ასე რომ, ბევრი ვერაფერი ვნახეთ მატარებლის ფანჯრიდან. კიევში პირდაპირ პრეზიდენტის სასახლეში წავედით. რიგით უკრაინელებთან საუბრის დიდი შესაძლებლობა არ იყო.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვნახეთ ხალხი კიევის ქუჩებში – მტკიცებულება იმისა, რომ ბრძოლა კიევისთვის მოგებულია, – აღნიშნა ბლინკენმა.

ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ კიევში არსებული სიტუაცია მკვეთრად განსხვავდება იმისგან, რაც უკრაინის სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებში ხდება.

– ეს სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რაც ხდება უკრაინის სხვა ნაწილებში, სამხრეთსა და აღმოსავლეთში, სადაც რუსული სისასტიკე ყოველდღე საშინელებებს მართებს ადამიანებს, – აღნიშნა ბლინკენმა.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ასევე განაცხადა, რომ ამერიკელი დიპლომატები უკრაინაში მომავალი კვირიდან დაბრუნდებიან.

– ისინი დაიწყებენ პროცესის განხილვას, თუ როგორ გავხსნით ხელახლა საელჩოს კიევში. ვფიქრობ, ეს მოხდება რამდენიმე კვირაში. ჩვენ ამას ფრთხილად ვაკეთებთ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი პერსონალის უსაფრთხოების გათვალისწინებით, – აღნიშნა ბლინკენმა.

# ნაუსედა: „ყოყმანის დრო აღარ გვაქვს“



ლიეტუვის პრეზიდენტმა გიტანას ნაუსედამ ნატოს მოუწოდა, აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის მის ქვეყანაში, მეტი ჯარისკაცი გაგზავნოს.

მედიის ინფორმაციით, გიტანას ნაუსედამ აღნიშნული საკითხი ვილნიუსში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ანალენა ბაერბოკთან გამართულ შეხვედრაზე განიხილა.

გიტანას ნაუსედამ და ანალენა ბაერბოკმა ასევე განიხილეს უკრაინისთვის სამხედრო დახმარების მიწოდება, უკრაინის, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი და რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ სანქციების დაწესება.

– დონბასის რეგიონში ფართომასშტაბიანი სამხედრო შეტევის დაწყების ფონზე, უკრაინისთვის შეიარაღების სწრაფი და ეფექტური მიწოდება შეიძლება ამ ომში გადამწყვეტი ფაქტორი გახდეს. ყოყმანის დრო აღარ გვაქვს, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ გადამწყვეტად და სწრაფად, – განაცხადა გიტანას ნაუსედამ.

მისი თქმით, სურს ნატოს ყოფნის გაძლიერება „სუვალკის დერეფანში“, რომელიც მდებარეობს ლიეტუვა-პოლონეთის საზღვარზე და ბელარუსს რუსეთის კალინინგრადის ანკლავთან აკავშირებს.

# 2 რუსი ოლიგარქი, ოჯახის წევრებთან ერთად, დაღუპულები იპოვეს



2 რუსი ოლიგარქი და მათი ოჯახის წევრები 24-საათიან ინტერვალში დაღუპულები იპოვეს.

სიენენის ინფორმაციით, პოლიციამ „გაზპრომ ბანკის“ ყოფილი ვიცეპრეზიდენტის ვლადისლავ ავაიევის, მისი მეუღლისა და ქალიშვილის ცხედარი ორშაბათს მოსკოვში, საკუთარ სახლში ნახა. გარდაცვლილ ბიზნესმენს ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის კვალი აქვს.

მეორე რუსი ოლიგარქის, ნოვატეკის ვიცეპრეზიდენტ სერგეი პროტოსენიას ცხედარი კი სამართალდამცველებმა ესპანეთში იპოვეს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ გარდაცვლილები არიან მისი ცოლი და მცირეწლოვანი ქალიშვილიც. მისი მეორე შვილის ცხედარი კი საფრანგეთშია ნაპოვნი.

ოლიგარქებისა და მათი ოჯახის წევრების გაურკვეველ ვითარებაში მკვლელობის ფაქტს პოლიცია ამ დრომდე იძიებს.

# ავღანეთში პარასკევს მეჩეთი ააფეთქეს

## 33 ადამიანი დაიღუპა



ავღანეთის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ კუნდუზში პარასკევის ლოცვის დროს სუნიტთა მეჩეთში აფეთქება მოხდა, რის შედეგადაც 33 ადამიანი დაიღუპა და ათობით დაიჭრა.

ამის შესახებ ინფორმაციას როიტერი ავრცელებს.

თალიბანის ადმინისტრაციის სპიკერმა ზაბიჰულა მუჯაჰიდმა „ტვიტერში“ დაღუპულთა რიცხვი დაადასტურა და განაცხადა, რომ 43 ადამიანია დაჭრილი.

„ამ ინციდენტის დამნაშავეები ბოროტი ელემენტები არიან. მათ დასაკავებლად და დასასჯელად სერიოზული ძალისხმევა მიმდინარეობს“, – განაცხადა მუჯაჰიდმა.

როგორც როიტერი იუწყება, გაურკვეველია, თუ ვინ იდგა აფეთქების უკან, რომელიც, ადგილობრივი მეთაურის თქმით, პარასკევის ლოცვის დროს მეჩეთში მოხდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ვაკეში ავტობუსში ადამიანის დაჭრისთვის 1 პირი დააკავეს




თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ავტობუსში მომხდარ დაჭრის ფაქტზე სამართალდამცავებმა ერთი პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქმე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 236-ე (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა, ტარება) და 118-ე მუხლებით (ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება) მუხლით მიმდინარეობს.

დაჭრის ფაქტი 21 აპრილს თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე მოხდა.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მომხდარს ურთიერთშელაპარაკება უძღოდა.

პირს ბრალი წარედგინა.

ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

„საქართველოს პროკურატურამ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-ტარების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 21 აპრილს თბილისში, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, ბრალდებულმა შენიშვნის მიცემის გამო, ხულიგნური ქვენა გრძნობით, ავტობუსის მგზავრი ცეცხლსასროლი იარაღით ქვედა და ზედა კიდურების არეში დაჭრა, რის შედეგადაც მან ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო.

აღნიშნული ინციდენტის დროს, ბრალდებულმა ასევე, საფრთხე შეუქმნა საზოგადოებრივ ტრანსპორტში მყოფ სხვა მგზავრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, ასევე, 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით წარედგინა, რას სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ჩხოროწყუში ავარიაში რუდიკ ლემონჯავა დაიღუპა

ჩხოროწყუში, სოფელ მუხურში, ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

22 აპრილს, ღამით, მსუბუქი ავტომობილი ბეტონს შეეჯახა. გარდაცვლილი სოფელ ზუმის მკვიდრი 30 წლის მამაკაცია. ის რუდიკ ლემონჯავაა.

„მთელი სოფელი გლოვობს. გარდაცვლილია 30 წლის ახალგაზრდა“, – წერენ ახლობლები სოციალურ ქსელში.

გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს სოფლის რწმუნებული ბაკურ ქომეთიანი.

სპორტი

# ფლეი ოფის ყველა წყვილი ცნობილია



საკალათბურთო სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატი დასრულდა და ფლეი ოფში გასული 8 გუნდი მეოთხედფინალში დაწყვილდა. რეგულარულის გამარჯვებული ქუთაისი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ იმერულ გუნდს ფლეი ოფის სერიებში ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობა ექნება.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 3 მატჩი გაიმართა. მიუხედავად დარჩენილი რამდენიმე თამაშისა, არც ერთი წყვილი ცნობილი არ იყო. 3-ვე შეხვედრა საკვანძო გახლდათ პირველიდან მე-8 ადგილების განაწილების საქმეში.

რეგულარული სეზონის ბოლო დღის პირველი შეხვედრა სარეკორდო გამოდგა. მეგამ უმოტივაციოდ დარჩენილი ცხუმ-აფხაზეთი 130:101 დაამარცხა. 2 გუნდის ქულათა ჯამი სარეკორდოა მიმდინარე სეზონისთვის, ხოლო ინდივიდუალური რეკორდებიდან ცხუმელმა ნოდარ გოგოძემ მოახერხა – 38 ქულა. აქამდე მიმდინარე ჩემპიონატში უმეტესი 37 ქულა იყო, რაც 2 მოთამაშეს – თსუ-ელ ლოველ ქაბილსა და დინამოელ ბენჯამინ ქოლეჯს ჰქონდა დაფიქსირებული.

ამ შეხვედრას მეგასთვის ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მე-6 ადგილს იკავებდა და ნახევარფინალში მე-3 ადგილზე გასულ გუნდს ხვდებოდა, თუმცა იმ მომენტისთვის არ იყო გარკვეული, თუ ვინ დაიკავებდა მე-3 ადგილს, რადგან ეს ბათუმისა და ოლიმპის შეხვედრაში გამარჯვებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო. თუმცა მეგას მაინც ეს გზა უჯობდა, რადგან ცხუმ-აფხაზეთთან დამარცხების შემთხვევაში მე-7 ადგილზე გადიოდა და ფლეი ოფის პირველ რაუნდში მეორეადგილოსანს – ან თსუ-ს ანაც ქუთაისს ხვდებოდა.

სჭირდებოდა და არც გასჭირვებია. ფლეი ოფს მიღმა დარჩენილმა, მაგრამ სუპერლიგაში ადგილშენარჩუნებულმა ცხუმელებმა სეზონის ბოლო მატჩი ლეგიონერების გარეშე ითამაშეს. დაცვა მოშლილი იყო და გუნდები ქულებს ბლომად და ნაირგვარი ხერხებით იხვეჭდნენ. საბოლოოდ მეგამ იმარჯვა და რეგულარული ჩემპიონატი ცხრილში მე-6 ადგილზე დაასრულა.

მეგას მეტოქე მოგვიანებით გამოვლინდა, როცა ბათუმში რეგულარულის ბოლო შეხვედრა დასრულდა. 2-ვე გუნდმა იცოდა, მოგების ან წაგების შემთხვევაში ვის ხვდებოდა. მოგებულს მეტოქედ მეგა ერგებოდა, რომლის ძლევის შემთხვევაში ნახევარფინალში თსუ-სა და ტიტების გამარჯვებულს ეჯახებოდა, წაგებულს კი ფლეი ოფის პირველ წრეში მეტოქედ ვერა ელოდა, რომლის ძლევის შემთხვევაშიც ქუთაისი-რუსთავს შორის უმჯობესს უპირისპირდებოდა.

შეხვედრა ოლიმპმა 79:76 მოიგო და მე-3 ადგილი დაიკავა.

თუმცა მანამდე ოლიმპიურ სასახლეში მორიგი მატჩი ჩატარდა, რომელმაც რეგულარულის გამარჯვებული გამოავლინა და მეოთხედფინალის 2 წყვილი შეკრა.

გათამაშების ლიდერი თსუ ცხრილის ქვედა ნახევარში მყოფ ტიტებს ხვდებოდა და, რომ მოეგო, რეგულარულ ჩემპიონატს პირველ ადგილზე ასრულებდა. ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა უნივერსიტეტელებმა მატჩი 74:80 დათმეს და მე-2 ადგილს დასჯერდნენ.

შესაბამისად, მეოთხედფინალში წყვილები ასე შეიკრა: ქუთაისი-რუსთავი; თსუ-ტიტები; ოლიმპი-მეგა; ბათუმი-ვერა;

ფლეი ოფი 29 აპრილიდან დაიწყება. ყველა ეტაპზე სერია 3 მოგებამდე გაგრძელდება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

საზოგადოება

# ვახტანგ ჭაბუკიანის „ოტელო“ სცენაზე ბრუნდება




65 წლის შემდეგ ვახტანგ ჭაბუკიანის ბალეტი „ოტელო“ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე ბრუნდება.

წარმოდგენაზე ვახტანგ ჭაბუკიანმა ალექსი მაჭავარიანთან ერთად იმუშავა. ბალეტის ახალი ქორეოგრაფიული ვერსია, ლიბრეტო და რეჟისურა ნინო ანანიაშვილს ეკუთვნის, ბალეტის დამდგმელი დირიჟორი კი კომპოზიტორის შვილი ვახტანგ მაჭავარიანია.

ალექსი მაჭავარიანის „ოტელო“ არის ბალეტი ორ მოქმედებად, რომელიც უილიამ შექსპირის ტრაგედიის მიხედვით დაიდგა. სცენოგრაფია და კოსტიუმები აღდგენილია სოლიკო ვირსალაძის ესკიზების მიხედვით.

ბალეტის დამდგმელი დირიჟორია ვახტანგ მაჭავარიანი, მთავარი კონსულტანტი – ლილიანა მითაიშვილი.

ვახტანგ ჭაბუკიანის ქორეოგრაფია აღდგენილია ლალი კანდელაკის, ლილიანა მითაიშვილისა და ირინე ჯანდიერის მიერ. სცენოგრაფია და კოსტიუმები დავით პოპიაშვილს ეკუთვნის, კოსტიუმების შემსრულებელი მხატვარი ნინო ოჩიაურია.

აღდგენილი „ოტელოს“ პრემიერა 13 მაისს გაიმართება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ბათუმის დინამო პირველი წრის შემდეგ მდევრებს გაექცა

ეროვნული ლიგის პირველი წრე დასრულდა. გასული სეზონის ჩემპიონმა, ბათუმის დინამომ, ზედიზედ მესამედ მოიგო დიდი ანგარიშით. ამასთან, უახლოესმა მდევრებმა ქულები დაკარგეს და ზღვისპირელებმა ლიდერობა გაიმყარეს.

**ტორპედო-დინამო (ბთ) 0:3**

**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

0:1, 0:2 ფლამარიონი (13, 25), 3:0 კვარაცხელია (64)

**ტორპედო:** ჰამზიჩი, სანდოხაძე, მირცხულავა, აბულაძე, შულაია, კარაგუნისი (არველაძე 56), მანჯგალაძე (ბუღრიძე 69), ნადარაია (შერგელაშვილი 56), გ.კუხიანიძე (ცინცაძე 74), არაბიძე, პაპუნაშვილი (მჭედლიძე 69)

**დინამო:** კუპატაძე, აზაროვი, აზაცკი, მ.კობახიძე, მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი (ფალავანდიშვილი 70), ტეიდი, რადინი (ფანცულაია 76), კვარაცხელია (ჩაბრაძე 81), ფლამარიონი (ვ.გაფრინდაშვილი 70), დავითაშვილი (ზარია 76)

გიგა გეგუჩაძის გაწვრთნილი დინამო შესანიშნავად თამაშობს და ამჯერად ქუთაისში ტორპედო დაამარცხეს – 3:0

ბრაზილიელი ჯოვინო ფლამარიონის დუბლით ბათუმელები 25-ე წუთზე უკვე 2-ბურთიანი სხვაობით იგებდნენ.

მე-2 ტაიმში საქართველოს 2021 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა. შეგახსენებთ, ხვიჩამ წინა ტურში დუბლი მიითვალა.

ჯოვინო ფლამარიონი კი ბომბარდირთა დავაში 9 გოლით ლიდერია. აქედან 5 ბურთი ბოლო 3 თამაშში გაიტანა.

**სამგურალი-დილა 0:0**

**წყალტუბო. 26 მაისი**

**სამგურალი:** შოვნაძე, პატარკაციშვილი, გილმორი (ბურჯანაძე 86), ს.კუხიანიძე (გავაშელიშვილი 72), რუხაძე (სიმდიაკინი 86), კალანდარიშვილი, ვერულიძე (დოლიძე 66), ქურდაძე, მ.ბაშელეიშვილი, კიკაბიძე, ჯერალდო (ჭელიძე 72)

**დილა:** ბულისკერია, ჩიტეიშვილი (გ.გაფრინდაშვილი 90), ჭიჭინაძე, სანტოსი (ძოწენიძე 90), ნონდი, ლომთაძე (მოსიაშვილი 56), გომისი (დრამე 56), გაგნიძე, გონსალვესი, სილვა, მადინგა (თ.კაპანაძე 63)

სამგურალი წყალტუბოში დაბრუნდა. 26 მაისის სტადიონზე ამ სეზონში პირველი მატჩი გაიმართა, სამგურალმა გორის დილას უმასპინძლა და შეხვედრა 0:0 დასრულდა.

ეს წყალტუბოელებისთვის ზედიზედ მე-3, ხოლო, მთლიანობაში, მე-5 ფრეა. დილამ კი პირველი მატჩი ითამაშა ფრედ...

პირველი წრის შემდეგ გორელები მე-2 ადგილზე არიან და 3 ქულით ჩამორჩებიან ლიდერს.

**გაგრა-დინამო (თბ) 1:0**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 კვირკვია (75)

**გაგრა:** ქურდაძე, ხოსიტაშვილი, კვირკველია, ნოზაძე, სულთანიშვილი (ფარულავა 66), ჩოგაძე (ხაბელაშვილი 62), ქობულაძე, შეწირული (შონია 62), ვეკუა, ვაწაძე, კვირკვია (ბუხაიძე 86)

**დინამო:** პრიეტო, მალი (მაისურაძე 74), ხვადაგიანი, მექვაბიშვილი, მოისწრაფიშვილი (სხირტლაძე 85), ხარაბაძე, პაპავა (კალანდაძე 46), ბენიო, თ.კირკიტაძე (ბარნსი 46), კამარა, ანტილევსკი (გაბედავა 46)

**გაძევება:** ხვადაგიანი (24)

გაგრამ თბილისის დინამოს მისსავე დინამო არენაზე უმასპინძლა და 5-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა – 1:0. ერთადერთი ბურთი მათე კვირკვიამ გაიტანა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კახა ცხადაძის გუნდი 24-ე წუთიდან კაცნაკლული თამაშობდა – მოედნიდან საბა ხვადაგიანი გააძევეს.

დინამოელებმა ზედიზედ 4 შეხვედრა ჩაატარეს გამარჯვების გარეშე და მე-4 ადგილზე ჩამოქვეითდნენ.

საინტერესოა ფაქტია ისიც, რომ გაგრას მიმდინარე სეზონში სულ 3 მოგება აქვს და 3-ვე თბილისურ კლუბებთან – ლოკომოტივი, საბურთალო, დინამო...

რაც შეეხება დინამოს, კახა ცხადაძის გაწვრთნილი გუნდი ლიდერს 7 ქულით ჩამორჩება. ეს დარჩენილ 3 წრეში ბევრი არ არის, მაგრამ თავად თბილისური გუნდის თამაშის ხარისხი უფრო საიმედოს შთაბეჭდილებას არ ტოვებს.

**თელავი-საბურთალო 0:2**

**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 შ. ნონიკაშვილი (41), 0:2 ქავთარაძე (90)

**თელავი:** სანიკიძე, მარაქველიძე, ზ.თევზაძე, გ.ქანთარია (ფიარანაშვილი 46), პავიშიჩი, გოშთელიანი (მუჯირი 64), მახარობლიძე, ჯიქია (ხაბულიანი 64), ქოჩლაძე (აშორტია 46), ფაცაცია (გიგაშვილი 84), თოლორდავა

**საბურთალო:** გოშაძე, ჯგერენაია, შ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე, ქარდავა, გულიაშვილი (შინდაგორიძე 76), კაკუბავა, სიხარულიძე (ნ.ქავთარაძე 85), გოჩოლეიშვილი, ჩადუნელი, მიოჩი (ლ.ნონიკაშვილი 76)

**გაძევება:** გოჩოლეიშვილი (90)

თელავმა საბურთალოს უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. გოლები შოთა ნონიკაშვილმა და შეცვლაზე შესულმა ნოდარ ქავთარაძემ გაიტანეს. საბურთალოს კარგი სერია აქვს და მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. ხოლო თელაველებმა სეზონის საწყის 2 შეხვედრაში 6 ქულა აიღეს და მას შემდეგ ზედიზედ 7 ტური არ მოუგიათ. კახური გუნდი მე-8 ადგილზეა.

**ლოკომოტივი-სიონი 1:2**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

0:1 ტაბატაძე (13პ), 1:1 ჭიაბრიშვილი (35), 1:2 ლ.ხორხელი (53)



**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ანდრონიკაშვილი (ჯაფარიძე 78), სამურკასოვი (კეკელიძე 61), შეყილაძე, დარცმელია, მუკბანიანი (ომარაშვილი 61), ჭიაბრიშვილი, ძებნიაური, ფოფხაძე (ხუციშვილი 76), ხარაიშვილი, ქველაძე

**სიონი:** ისიანი, ჯაფიაშვილი, უგრეხელიძე, ლ.ხორხელი (დუმბია 76), ნ.ხორხელი (ზურაბიანი 86), კობერიძე (მაჩაიძე 46), კორიფაძე (ტვილდიანი 86), ფოცხვერია, ჩუკვურა, თ.ტაბატაძე (კვერნაძე 90), ნემსაძე

ლოკომოტივი შინ დამარცხდა სიონთან და კვლავ უქულოდაა. სიონი კი, 3 ქულის მიუხედავად, ბოლოსწინაზე დარჩა, მაგრამ სხვა გუნდებს მიუახლოვდა.

პირველ ტაიმში ბოლნისელები თომა ტაბატაძის პენალტით დაწინაურდნენ, ლოკომოტივიდან კი ირაკლი ჭიაბრიშვილმა გაათანაბრა. ეს ჭიაბრიშვილის სადებიუტო გოლია ეროვნულ ლიგაში.

გამარჯვების გოლი კი ლუკა ხორხელმა გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 9 | 7 | 1 | 1 | 24-6 | 22 |
| 2.დილა | 9 | 6 | 1 | 2 | 13-7 | 19 |
| 3.საბურთალო | 9 | 4 | 3 | 2 | 15-10 | 15 |
| 4.დინამო (თბ) | 9 | 4 | 3 | 2 | 11-8 | 15 |
| 5.სამგურალი | 9 | 2 | 5 | 2 | 8-8 | 11 |
| 6.გაგრა | 9 | 3 | 2 | 4 | 11-14 | 11 |
| 7.ტორპედო | 9 | 3 | 2 | 4 | 8-14 | 11 |
| 8.თელავი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-8 | 10 |
| 9.სიონი | 9 | 2 | 3 | 4 | 10-16 | 9 |
| 10.ლოკომოტივი | 9 | 0 | 0 | 9 | 6-22 | 0 |

## შედეგები

### 24 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბარნლი-ვულვზი ............ 1:0
ბრაიტონი-საუთჰემპტონი ............ 2:2
ჩელსი-ვესტ ჰემი ............ 1:0
ლივერპული-ევერტონი ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 33 | 25 | 5 | 3 | 80-21 | 80 |
| 2.ლივერპული | 33 | 24 | 7 | 2 | 85-22 | 79 |
| 3.ჩელსი | 32 | 19 | 8 | 5 | 67-27 | 65 |
| 4.არსენალი | 33 | 19 | 3 | 11 | 52-40 | 60 |
| 5.ტოტენჰემი | 33 | 18 | 4 | 11 | 56-38 | 58 |
| 6.მანჩესტერი | 34 | 15 | 9 | 10 | 53-51 | 54 |
| 7.ვესტ ჰემი | 34 | 15 | 7 | 12 | 52-44 | 52 |
| 8.ვულვზი | 33 | 15 | 4 | 14 | 33-29 | 49 |
| 9.ნიუკასლი | 34 | 11 | 10 | 13 | 40-55 | 43 |
| 10.ლესტერი | 32 | 11 | 9 | 12 | 47-51 | 42 |
| 11.ბრაიტონი | 34 | 9 | 14 | 11 | 31-42 | 41 |
| 12.ბრენტფორდი | 34 | 11 | 7 | 16 | 41-49 | 40 |
| 13.საუთჰემპტონი | 34 | 9 | 13 | 12 | 40-56 | 40 |
| 14.კრ.პალასი | 32 | 8 | 13 | 11 | 43-41 | 37 |
| 15.ასტონ ვილა | 32 | 11 | 4 | 17 | 42-46 | 37 |
| 16.ლიდსი | 32 | 8 | 9 | 15 | 38-68 | 33 |
| 17.ბარნლი | 33 | 6 | 13 | 14 | 29-45 | 31 |
| 18.ევერტონი | 32 | 8 | 5 | 19 | 34-55 | 29 |
| 19.უოტფორდი | 33 | 6 | 4 | 23 | 31-67 | 22 |
| 20.ნორვიჩი | 33 | 5 | 6 | 22 | 22-69 | 21 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბოხუმი-აუგსბურგი ............ 0:2
ჰერტა-შტუტგარტი ............ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 24 | 3 | 4 | 92-30 | 75 |
| 2.დორტმუნდი | 31 | 20 | 3 | 8 | 77-46 | 63 |
| 3.ლევერკუზენი | 31 | 16 | 7 | 8 | 72-44 | 55 |
| 4.ლაიფციგი | 31 | 16 | 6 | 9 | 66-33 | 54 |
| 5.ფრაიბურგი | 31 | 14 | 10 | 7 | 52-37 | 52 |
| 6.უნიონი | 31 | 14 | 8 | 9 | 42-40 | 50 |
| 7.კიოლნი | 31 | 13 | 10 | 8 | 47-45 | 49 |
| 8.ჰოფენჰაიმი | 31 | 13 | 7 | 11 | 52-47 | 46 |
| 9.აინტრახტი | 31 | 10 | 10 | 11 | 42-44 | 40 |
| 10.მაინცი | 31 | 11 | 6 | 14 | 43-41 | 39 |
| 11.გლადბახი | 31 | 10 | 8 | 13 | 45-58 | 38 |
| 12.ვოლფსბურგი | 31 | 11 | 4 | 16 | 39-51 | 37 |
| 13.ბოხუმი | 31 | 10 | 6 | 15 | 30-45 | 36 |
| 14.აუგსბურგი | 31 | 9 | 8 | 14 | 36-47 | 35 |
| 15.ჰერტა | 31 | 9 | 5 | 17 | 34-66 | 32 |
| 16.შტუტგარტი | 31 | 6 | 10 | 15 | 36-55 | 28 |
| 17.არმინია | 31 | 5 | 11 | 15 | 24-49 | 26 |
| 18.ფიურტი | 31 | 3 | 8 | 20 | 25-76 | 17 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-ზანდჰაუზენი ............ 2:4
პადერბორნი-ჰანოვერი ............ 3:0
აუე-ჰანზა ............ 2:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ბარსელონა-რაიო ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 33 | 24 | 6 | 3 | 69-29 | 78 |
| 2.ბარსელონა | 33 | 18 | 9 | 6 | 61-33 | 63 |
| 3.სევილია | 33 | 17 | 12 | 4 | 49-27 | 63 |
| 4.ატლეტიკო | 33 | 18 | 7 | 8 | 59-39 | 61 |
| 5.ბეტისი | 33 | 17 | 6 | 10 | 56-38 | 57 |
| 6.სოსიედადი | 33 | 15 | 10 | 8 | 32-31 | 55 |
| 7.ვილიარეალი | 33 | 14 | 10 | 9 | 53-31 | 52 |
| 8.ბილბაო | 33 | 12 | 12 | 9 | 39-34 | 48 |
| 9.ოსასუნა | 33 | 12 | 8 | 13 | 34-44 | 44 |
| 10.ვალენსია | 33 | 10 | 12 | 11 | 44-48 | 42 |
| 11.რაიო | 33 | 11 | 7 | 15 | 34-38 | 40 |
| 12.სელტა | 33 | 10 | 9 | 14 | 36-37 | 39 |
| 13.ესპანიოლი | 33 | 10 | 9 | 14 | 37-45 | 39 |
| 14.ელჩე | 33 | 10 | 8 | 15 | 36-44 | 38 |
| 15.ხეტაფე | 33 | 8 | 11 | 14 | 31-37 | 35 |
| 16.მალიორკა | 33 | 8 | 8 | 17 | 29-54 | 32 |
| 17.კადისი | 33 | 6 | 13 | 14 | 29-46 | 31 |
| 18.გრანადა | 33 | 6 | 12 | 15 | 36-56 | 30 |
| 19.ლევანტე | 33 | 5 | 10 | 18 | 41-65 | 25 |
| 20.ალავესი | 33 | 6 | 7 | 20 | 26-55 | 25 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ოვიედო ............ 1:2
იბიცა-ლას პალმასი ............ 1:1
მირანდესი-ვალიადოლიდი ............ 0:1
ლუგო-ლეგანესი ............ 0:0
სარაგოსა-ბურგოსი ............ 0:0

**იტალია. სერია ა**

სალერნიტანა-ფიორენტინა ............ 2:1
ბოლონია-უდინეზე ............ 2:2
ემპოლი-ნაპოლი ............ 3:2
ჯენოა-კალიარი ............ 1:0
ლაციო-მილანი ............ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 34 | 22 | 8 | 4 | 60-30 | 74 |
| 2.ინტერი | 33 | 21 | 9 | 3 | 71-26 | 72 |
| 3.ნაპოლი | 34 | 20 | 7 | 7 | 61-30 | 67 |
| 4.იუვენტუსი | 33 | 18 | 9 | 6 | 50-29 | 63 |
| 5.რომა | 34 | 17 | 7 | 10 | 55-40 | 58 |
| 6.ლაციო | 34 | 16 | 8 | 10 | 66-50 | 56 |
| 7.ფიორენტინა | 33 | 17 | 5 | 11 | 54-42 | 56 |
| 8.ატალანტა | 33 | 15 | 9 | 9 | 57-39 | 54 |
| 9.ვერონა | 34 | 13 | 10 | 11 | 59-51 | 49 |
| 10.სასუოლო | 33 | 12 | 10 | 11 | 58-53 | 46 |
| 11.ტორინო | 33 | 11 | 10 | 12 | 38-32 | 43 |
| 12.უდინეზე | 33 | 9 | 13 | 11 | 49-52 | 40 |
| 13.ბოლონია | 33 | 10 | 9 | 14 | 37-47 | 39 |
| 14.ემპოლი | 34 | 9 | 10 | 15 | 45-62 | 37 |
| 15.სპეცია | 34 | 9 | 6 | 19 | 34-59 | 33 |
| 16.სამპდორია | 34 | 8 | 6 | 20 | 41-57 | 30 |
| 17.კალიარი | 34 | 6 | 10 | 18 | 31-62 | 28 |
| 18.ჯენოა | 34 | 3 | 16 | 15 | 25-54 | 25 |
| 19.სალერნიტანა | 33 | 6 | 7 | 20 | 28-70 | 24 |
| 20.ვენეცია | 33 | 5 | 7 | 21 | 27-61 | 22 |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

რენი-ლორიანი ............ 5:0
კლერმონი-ანჟე ............ 2:2
მეცი-ბრესტი ............ 0:1
ნანტი-ბორდო ............ 5:3
ნიცა-ტრუა ............ 1:0
ლილი-სტრასბური ............ 1:0
რეიმსი-მარსელი ............ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 24 | 6 | 4 | 76-31 | 78 |
| 2.მარსელი | 34 | 19 | 8 | 7 | 56-33 | 65 |
| 3.რენი | 34 | 18 | 5 | 11 | 75-36 | 59 |
| 4.მონაკო | 34 | 17 | 8 | 9 | 55-35 | 59 |
| 5.ნიცა | 34 | 17 | 7 | 10 | 43-29 | 57 |
| 6.სტრასბური | 34 | 15 | 11 | 8 | 55-36 | 56 |
| 7.ლანსი | 34 | 15 | 9 | 10 | 53-42 | 54 |
| 8.ლიონი | 34 | 14 | 11 | 9 | 56-45 | 52 |
| 9.ლილი | 34 | 13 | 12 | 9 | 42-40 | 51 |
| 10.ნანტი | 34 | 14 | 8 | 12 | 48-41 | 50 |
| 11.ბრესტი | 34 | 12 | 9 | 13 | 43-48 | 45 |
| 12.მონპელიე | 34 | 12 | 6 | 16 | 46-51 | 42 |
| 13.რეიმსი | 34 | 9 | 13 | 12 | 36-37 | 40 |
| 14.ანჟე | 34 | 8 | 11 | 15 | 38-51 | 35 |
| 15.ლორიანი | 34 | 8 | 10 | 16 | 33-57 | 34 |
| 16.ტრუა | 34 | 8 | 9 | 17 | 30-47 | 33 |
| 17.კლერმონი | 34 | 8 | 9 | 17 | 35-63 | 33 |
| 18.სტ.ეტიენი | 34 | 7 | 10 | 17 | 38-68 | 31 |
| 19.ბორდო | 34 | 5 | 12 | 17 | 47-84 | 27 |
| 20.მეცი | 34 | 4 | 12 | 18 | 29-60 | 24 |

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ტილბურგი-ვიტესი ............ 1:0
გრონინგენი-ერაკლესი ............ 0:1
ფეინოორდი-უტრეხტი ............ 2:1
სიტარდი-უგლზი ............ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ეშტორილი-ბელენენსეში ............ 2:2
ტონდელა-გიმარაეში ............ 1:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-ანტვერპენი ............ 1:0
სენ ჟილუა-ანდერლეხტი ............ 3:1
გენტი-გენკი ............ 0:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

კლაგენფურტი-ვოლფსბერგერი ............ 2:3
ზალცბურგი-აუსტრია ............ 5:0
რაპიდი-შტურმი ............ 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-სელტიკი ............ 0:2
დ.იუნაიტედი-ჰართსი ............ 2:3

**თურქეთი. სუპერლიგა**

მალათია-ქონია ............ 2:3
ბაშაქშეჰირი-ჰატაი ............ 3:0
ალთაი-გალათასარაი ............ 0:1
ანთალია-ქაისერი ............ 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-ლუგანო ............ 3:0
ბაზელი-ლუცერნი ............ 3:0
გრასჰოპერსი-ლოზანა ............ 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

პლზენი-სლოვაცკო ............ 3:1
ჰრადეც კრალოვე-სლავია ............ 4:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეხი-სტალი ............ 3:1
ჩენსტოხოვა-ლეჩნა ............ 2:1
პოგონი-ლეგია ............ 3:1

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-სილკებორგი ............ 1:2
კოპენჰაგენი-რანდერსი ............ 0:1
ნორდსიელანდი-ოლბორგი ............ 2:0
ორხუსი-ოდენსე ............ 1:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-დიურგარდენი ............ 1:0
ვარბერგი-მიალბი ............ 0:0
ჰელსინბორგი-ჰაკენი ............ 1:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ვიკინგი-ბოდო გლიმტი ............ 2:0
ვალერენგა-ერვი ............ 1:0
კრისტიანსუნი-ჰამკამი ............ 2:2
ლილესტრიომი-ჰაუგესუნდი ............ 1:0
ტრომსო-სარპსბორგი ............ 2:5
რუსენბორგი-მიოლდე ............ 0:0

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მეღლება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 2. კომბინაცია პოკერში; 3. პირველი ქართული ბალეტი; 4. ქვიანი, ქვიშიანი ნიადაგი; 5. აშშ-ის სამხედრო სამინისტრო; 9. ბრალდებულის დამცველი სასამართლოში; 12. გემთმშენებლობის ერთ-ერთი ცენტრი უკრაინაში; 14. ინდიელთა სოფლების სახელწოდება მექსიკაში; 15. კარატისტის ოსტატობის ხარისხის მაჩვენებელი; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. რძის პროდუქტი.

**თარაზულად:** 6. ხილით, ბოსტნეულით, ტკბილეულით მოვაჭრე ძველ თბილისში; 7. ქართული მარიონეტული თეატრის ფუძემდებელი; 8. მდინარე ზუგდიდში; 10. ყველაზე დიდი ტბა იტალიაში; 11. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 13. სახარატო ჩარხის მთავარი მბრუნავი ლილვი; 16. ესპანური ღვინო; 19. მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ; 20. ფართოფარფლებიანი მექსიკური ქუდი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პეჟო; 2. ერი; 3. შერმადინი; 4. ქააბა; 5. სანახშო; 8. საგა; 9. კატორღა; 10. კიმიგაიო; 12. ხანუკა; 13. ამანი; 15. ურეკი.

**თარაზულად:** 1. პრომეთე; 6. სერენადა; 7. ჟესტი; 10. კამიუ; 11. აგუნა; 13. ატომი; 14. წრუტო; 16. უშბა; 17. იროკეზი; 18. ჩხეიძე.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტემპერა; 2. კრიკი; 3. ვალენსია; 4. ბროკოლი; 5. შინჰოფერი; 9. ავერსი; 12. ბოზბაში; 14. ქულამა; 15. რიწა; 17. ბურჯი; 18. იკაო.

**თარაზულად:** 6. ჯენერი; 7. გაგარინი; 8. ოპტიკა; 10. ვოლვო; 11. ნაცარქექია; 13. ექსპრესი; 16. ყოჩები; 19. კარავაჯო; 20. საფიხვნო.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


26 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0358

ევრო — 3.3105

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9693

100 რუსული რუბლი — 3.7999

## ამინდის პროგნოზი 26 აპრილისათვის




## ხავი: „წაგებას არ ვიმსახურებდით“



ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ზედიზედ მესამე მარცხი განიცადა და ეს აქამდე ამ გუნდის ისტორიაში არასოდეს მომხდარა.

ამჯერად ბარსელონა რაიო ვალეკანოსთან დამარცხდა. მატჩის შემდეგ ხავიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი წაგებას არ იმსახურებდა:

— წაგებას არ ვიმსახურებდით, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ პირველი ტაიმი სუსტად ჩავატარეთ, ხოლო მეორე ტაიმში, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. თამაშის ხარისხი უნდა გამოვასწოროთ და შეცდომებზე დავფიქრდეთ.

## ნეიმარმა პსჟ-ს ფანები გააკრიტიკა



პსჟ-ს ფანებმა ნეიმარს ისევ დაუსტვინეს და ამ ფაქტმა ბრაზილიელი ფეხბურთელის გაღიზიანება გამოიწვია, რაც ნეიმარს თამაშის მერე არც დაუმალავს.

ნეიმარის თქმით, ფანები ასე არ უნდა იქცეოდნენ და ეს არანაირ სტანდარტში არ ჯდება:

— მინდა, გულშემატკივარმა გაიგოს, რომ პსჟ-სთვის ყველაფერს ვაკეთებ და მათი სტვენა ცუდი მოსასმენია. როდესაც რაღაც არ გამომდის, ყოველთვის ვცდილობ, შეცდომა მალე გამოვასწორო.

## რუდიგერი ჩელსის დატოვებს



ანტონიო რუდიგერი ზაფხულში, დიდი ალბათობით, ჩელსის დატოვებს და კარიერას მადრიდის რეალში გააგრძელებს, თუმცა ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურებული არ არის.

რუდიგერმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ახალი გამოწვევები სურს და ჩელსიში საკუთარი თავი უკვე ამოწურა.

რუდიგერი ჩელსიში გადასვლამდე იტალიური რომას ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ქალი ექიმს ეუბნება:

— ექიმო, გახსოვთ, როდესაც ნერვები მქონდა აშლილი, თქვენ რა მირჩიეთ?

— ჰო, საყვარელი მამაკაცი გაგეჩინა.

— ჰოდა ახლა ჩემს ქმარს აუხსენით, რომ მეძავი კი არ ვარ, ვმკურნალობ!

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

— რამდენჯერ უნდა გასწავლო, რომ წვენია, რომელსაც აწერია 100 პროცენტი, სასმელია, რომელსაც აწერია 50-დან 80 პროცენტამდე, ხოლო თუ აწერია 40 პროცენტი, ის ნექტარია.

— აჰა, არადა, სულ იმას ვამბობდი, რომ არაყი ნექტარია!

●●●

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

— ბიჭო, გუშინ შენს ცოლს რატომ უყვიროდი?

— შევეკითხე: „სად წაიღე მთელი ფული?“... ის კი დუმს.

— და დღეს მთელი დღე რატომ ღრიალებდი?

— მითხრა.

●●●

მზარეული ოფიციანტს ეუბნება:

— კლიენტების გაგდებას შეეშვი, ნუ გავიწყდება, რომ ვაგონ-რესტორანში მუშაობ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## რეჟისორი მიშა ჭიაურელი უკრაინაში ჩავიდა



80 წლის რეჟისორი მიშა ჭიაურელი უკრაინაში ჩავიდა და დოკუმენტურ ფილმს იღებს.

ინფორმაცია მწერალმა მანანა დუმბაძემ გაავრცელა:

– უშიშარი, ვითა უხორცო, 80 წლის მიშა ჭიაურელი, დანჯღრეული ავტობუსით 17-საათიანი ჯაყჯაყის შემდეგ ჩავიდა უკრაინაში. ახლა კიევშია და დოკუმენტურ ფილმს იღებს. ძალიან ბევრი იწვალა, სანამ წასვლის უფლებას მოიპოვებდა. მაინც მიაღწია თავისას. არ აუტეხია ხმაური, არიქა, მომაქციეთ ყურადღება, ბრძოლის ხაზზე მივდივარო. მე სრულიად შემთხვევით, მეგობრისგან გავიგე, იქ რომ იყო უკვე.

ასე ჩუმად აკეთებს მიშა თავის და ქვეყნის საქმეს. მისი გაკეთებული კი, როგორც წესი, ბევრისაზე უფრო მართალი და ხარისხიანი გამოდის. ეს არის ჭეშმარიტი ინტელიგენტისა და ხელოვანის ქცევა. რომელმა მედიამ იცის ამის შესახებ რამე? მე არსად არაფერი მომისმენია. დღეს დითირამბებს სულ სხვა გმირებს უმღერიან.

## ჟანრი ლოლაშვილი 80 წლის გახდა



მსახიობი და მხატვარი ჟანრი ლოლაშვილი 80 წლის გახდა. მრგვალი თარიღი მას ათასობით გულშემატკივართან ერთად კოლეგებმა, მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა მიულოცეს.

თეატრისა და კინოს მსახიობს საკუთარი პროფესია ყველაზე მეტად უყვარს. მსახიობობასთან ერთად, არაჩვეულებრივი მხატვარია და მისი ნამუშევრები უამრავ დამთვალიერებელს აღაფრთოვანებს.

ჟანრი ლოლაშვილის თეატრალური კარიერა ზუგდიდის თეატრიდან დაიწყო, რუსთაველის თეატრით გაგრძელდა და ბოლომდე მისი ერთგულია. თეატრში შესრულებული არაერთი როლიდან მაყურებელს განსაკუთრებით უყვარს მთხრობელი რობერტ სტურუას სპექტაკლიდან „კავკასიური ცარცის წრე“.

რაც შეეხება მის კინოროლებს, მაყურებლისთვის განსაკუთრებით ძვირფასია ფოტორეპორტიორი ლანა ღოღობერიძის ფილმიდან „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, თუმცა იუბილარი მსახიობი მასობრივად პოპულარული მაინც სერიალ „ცხელი ძაღლით“ გახდა, სადაც გამომძიებელ ბიძინა თაბაგარის როლი შეასრულა.

— ვინ რამდენ ხანს ვიცოცხლებთ, რა ვიცით. ვის რა ბომბი გვაქვს ჩადებული, რას გაიგებ. თუ მოვხუცდი, გადავბრუნდები კედლისკენ და ვიქნები. ტკბილი დაბერება არ არსებობს, ტყუილია. არ მინახავს ეგეთი ადამიანი, რომ ტკბილი სიბერე ჰქონოდა და შვილიშვილებთან ჩატკბა და ჩაფელამუშდა.

სიბერე არის შფოთი, ხელის ჩაქნევა, ამაოების გრძნობა. წუხილი იმატებს. მშობელი, რომელიც დიდი ხანია, აღარ გყავს, გახსენდება და წუხხარ. პანაშვიდებზე სასიარულო გემატება. მარტოა ადამიანი, თავის წუხილთან მარტოა, — აცხადებს იუბილარი მსახიობი.

## ვახტანგ კახიძე უკრაინაში დაღუპულებს კონცერტს მიუძღვნის



30 აპრილს ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ხსოვნის საღამო გაიმართება, რომელიც მიეძღვნება უკრაინაში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების დროს დაღუპულთა და ასევე ჯანსუღ კახიძისა და ანზორ ერქომაიშვილის ხსოვნას.

კონცერტს ვახტანგ კახიძე უდირიჟორებს. თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან და საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელასთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგებიან: ანსამბლი „რუსთავი“ და სოლისტები მიხეილ აბრამიშვილი (კონტრ-ტენორი), ქეთევან ქართველიშვილი (მეცო სოპრანო).

შესრულებული იქნება ჰენდელის, მოცარტის, მალერისა და ვახტანგ კახიძის ნაწარმოებები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ლაშა ბუღაძე: „ქართველის რუსულ-ტურისტული კლიშე „მიმინოა“



ასე მიაჩნია მწერალსა და დრამატურგს ლაშა ბუღაძეს:

— საბჭოთა ქართულმა კინომ კრებითი ქართველის ისეთი სახეობა შექმნა, რომელსაც დღემდე ნოსტალგიით დაეძებენ (და პოულობენ) რუსები საქართველოში: სასაცილო, უხეშ-უვნებელი და ზომიერად საყვარელი იდიოტის.

ქართველის რუსულ-ტურისტული კლიშე „მიმინოა“: ამაყი და კეთილი დეგენერატი.

ან „ჯარისკაცის მამა“: მართალია, საყვარელი, მაგრამ ადამიანსა და რაღაცნაირ მოცხოველო ქვეადამიანს შორის გაჩხერილი არსება. ამ შემთხვევაში სოციალურ ფსიქოტიპაჟებს ვგულისხმობ და არა მსახიობთა მიერ შექმნილ ტიპაჟებს.

გაიხსენეთ, თუნდაც ამ ფილმებში როგორი ჩვეულებრივები, რაციონალურები და „ადამიანურები“ არიან რუსები და, ორიგინალურობის გათვალისწინებით, როგორი საყვარლად ექსცენტრულ-ველურები არიან ქართველები.

ეს სტერეოტიპი – ეგზოტიკურ-გამრთობი კრეტინის – ჩვენც კარგად მოვირგეთ და რუსებსაც სწორედ იმიტომ ვეგებით ფიანდაზად რესტორნებში, რომ ვიცით, ასეთი საქონელი მხოლოდ ამათთან თუ გასაღდება: რომელიმე სასო პავლიშვილი რომ იჭაჭება რუსებისთვის, როგორც „გრუზინი“.

მახსოვს, ვალერი მელაძემ, რომელიც დეგრადანტ პავლიაშვილზე წესიერი ადამიანი აღმოჩნდა თუნდაც უკრაინის კონტექსტში, 20 ივნისის მერე ვიდეო ჩაწერა და მსუბუქად, უზოგადესად, მაგრამ მაინც გამოესარჩლა ქართველებს. ოღონდ ყველაფერი გააკეთა ამ ვიდეოში, რომ ის ძალიანაც სერიოზულად არ აღექვა სისტემურ პუტინიზმს: ჩაიცვა ჩოხა, წარბი თეატრალურად აპრიხა და ირონიანარევ სადღეგრძელოდ გამოხატა სოლიდარობა, ანუ ეგზოტიკა ვარ, ძალიანაც არ გამიწყრეთო. თუმცა ეს ალბათ მართლაც სიმამაცე იყო, რადგან სხვამ ესეც ვერ გაბედა.

მაგრამ მთავარი არა ეს ან მსგავსი საქციელი, არამედ ამ „იდენტობის“ უბადრუკობაა: ჩოხიანი კლოუნი ქართველი, რომელმაც რუსს უნდა მოაწონოს ან შეასაღოს თავი.

საბჭოთა დროს ეს ეგზოტიკურ-პრეზენტაციული მაჩოიზმი შესაძლოა მონობის „ფროიდულ“ კომპენსაციადაც კი მიჩნეულიყო – ისტორიულად რუსებმა „გვიხმარეს“, ქართველი კაცები კი 37–მანეთიანი გასტროლების დროს „ხმარობდნენ“ რუს ქალებს – განზრახ ვწერ ამ საზიზღარ სიტყვას ისტორიული მარაზმის საილუსტრაციოდ და, ცხადია, სტალინის ქართველობით სიამაყეც ისტორიულად „ნახმარ“ ქართველთა კომპენსაციად უნდა ჩავთვალოთ, რომელიც მავანთათვის დღემდე ასრულებს ვადაგასული ვიაგრას ფუნქციას.

მაგრამ დღეს არა ფსიქოლოგიზმში, არამედ დეგრადირებულ იდენტობებშია პრობლემა – ქართველის პრორუსული სახეობა ჩაწოლილი საქონელივით ყიდის თავის ძველსაბჭოურ იდენტობას და, რაკი სპეციფიკური სახეობის რუსის გარდა, ეს არც არავის სჭირდება, ანკი ვის უნდა სჭირდებოდეს, ამიტომაც ვერაფრით გავაგებინებთ ასეთ ქართველს, რატომ არ უნდა ჩართოს რესტორანში „ჩორნი ბუმერ“ და „დიმპიტაურ-დამპიტაური“, რადგან ამის მუშტარი ჰყავს რუსი „დევნილ-ტურისტის“ სახით და ვერც რაიმე უკეთესს გამოუგონებს, იდენტობა უკვე გამოუგონეს „მიმინოებმა“, ხოლო სოლიდარობის განცდას ღირსება და მორალი სჭირდება, რაც დიდად არ არის წახალისებული თანამედროვე საქართველოში და რაც რუსეთთან 200-წლიანი ურთიერთობის ისტორიული ტრაგედიიდან იღებს სათავეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი



### 26 აპრილისათვის

**ვერძი** — კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა ეს გარისკვის საბაბს მაინც არ გაძლევთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **კურო** — თუ ფინანსურად ამის საშუალება გექნებათ, ქველმოქმედებით დაკავდით. ინტიმურ პრობლემებზე ზედმეტი კონცენტრირება საჭირო არ არის. **ტყუპები** — იყავით სამართლიანი და ყველა გადაწყვეტილება აქედან გამომდინარე მიიღეთ. მოსალოდნელია ძველი კავშირების აღდგენა. **კირჩხიბი** — ინდივიდუალურად იმუშავეთ. პირად ცხოვრებას დიდ ყურადღებას ნუ დაუთმობთ. საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა გაამართლებს. **ლომი** — პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. დაძაბული დღეა. მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. **ქალწული** — დაკავდით სპორტით, ივარჯიშეთ. კარგი იქნება, თუ ადამიანებს შეძლებისდაგვარად დაეხმარებით. **სასწორი** — პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან, თუმცა მთავარი გადაწყვეტილების მიღება მაინც თქვენ გეკისრებათ. **ღრიანკალი** — იაქტიურეთ. ძალები გონივრულად გადაანაწილეთ. ზედმეტი ამბიციურობა გავნებთ. **მშვილდოსანი** — ეგოიზმი, სიძუნწე, სიჯიუტე დათრგუნეთ. გონიერება და თავშეკავება დღის დევიზია. **თხის რქა** — მოსალოდნელია კამათი ხელმძღვანელ პირებთან. კონფლიქტი საკადრო საკითხებს უკავშირდება. **მერწყული** — აქტიური დასვენება ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. **თევზები** — მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. შესაძლოა ჰონორარი მიიღოთ. სირთულეები დროებით უკან რჩება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 2. ერთ-ერთი სანელებელი; 3. ოსური ხაჭაპური; 4. წინაპრებისგან გადმოცემული წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა; 5. თეატრის ძველი სახელწოდება; 8. ოპერა „კარმენის“ კომპოზიტორი; 9. ციმბირში მზარდი ფიჭვისებრთა ოჯახის ხე, რომელიც წყალში არ ლპება; 10. ბადაგისა და ფქვილისგან მომზადებული ტკბილეული; 12. ურწმუნო, ულმერთო ადამიანი; 13. ხორცის შესაწვავი მბრუნავშამფურებიანი ელექტროღუმელი; 15. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა.

**თარაზულად:** 1. აბრეშუმის სამკუთხა ქსოვილი, ყარაჩოღელთა ტანსაცმლის აუცილებელი ატრიბუტი; 6. საინფორმაციო საშუალებების, ჟურნალის, გაზეთის, ტელევიზიის, რადიოს საერთო სახელწოდება; 7. მდინარე რომში; 10. ცბიერი, გაიძვერა ადამიანი; 11. კვირა დღის ძველი ქართული სახელწოდება; 13. პროფესიონალი გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 16. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 17. კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი; 18. ქართული რადიო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

